საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

პარასკევი, 15 დეკემბერი. 2023 წ. №141 (9673) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

15.XII.2023: ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი... გვასმენინე ევროპიდან!

ვინ დაგვწყევლა ასე მწარედ, ქართველნო?!

„არა და არასდროს“! რას ნიშნავს, უტიფარო პრეზიდენტო?!

საქართველოს „პოეზიდენტმა“ სალომე ზურაბიშვილმა „რადიო თავისუფლებასთან“ ინტერვიუში მიხეილ სააკაშვილის შეწყალებაზე დასმულ კითხვას უპასუხა და აღნიშნა, რომ მიხეილ სააკაშვილის შეწყალებაზე უარი არ განუცხადებია. მისი თქმით, ის არ აკეთებს კომენტარებს შეწყალებასთან დაკავშირებით, თუ არ ამგოგს, რომ ვინმეს იწყალებს.

„ეს არ არის დაკავშირებული იმ ფაქტთან, რომ მან უზარმაზარი როლი ითამაშა საქართველოს ამ გზაზე დაყენებაზე, არა მხოლოდ მან, არამედ შევარდნაძემაც. ის იყო პირველი, ვინც გახსნა ჭიშკარი. ზურაბ ჟვანიამ, რომლის 60 წლის იუბილე რამდენიმე დღის წინ აღინიშნა, მთავარი როლი ითამაშა. ყველას ახსოვს, რომ მან პირველმა განაცხადა: „მე ვარ ქართველი, და, მაშასადამე, ვარ ევროპელი“. ყველა ამ პიროვნებამ, ყველა ამ მთავრობამ და ადმინისტრაციამ შეასრულა თავისი როლი. სამწუხაროდ, საქართველოში მთავრობებს, რომლებიც ძალიან კარგად იწყებენ, შემდეგ ცოტა ავტოკრატიულად გადაქცევის ტენდენცია აქვთ“...

როგორც ცნობილია, სალომე ზურაბიშვილს მიხეილ სააკაშვილის შეწყალებასთან დაკავშირებით არაერთხელ აქვს ნათქვამი „არა და არასდროს“!

„არა და არასდროს“!, ორგზის უარყოფას, ანუ შეწყალებაზე სამუდამო უარს ნიშნავს, ევროპელო სალომე!

აი, როგორი უტიფარი, საკუთარი სიტყვის გამტეხი, სამარცხვინო „პოეზიდენტი“ ხარ შენ!..

ვიქტორ ორბანმა ევროკომისია დააჩოქა!

უნგრეთი 10 მილიარდ ევროს მიიღებს...

ევროკომისიამ ევროკავშირის გაყინული ფონდიდან უნგრეთისთვის 10 მილიარდი ევროს გამოყოფას მხარი დაუჭირა. ევროკომისიის ცნობით, ამგვარად, უნგრეთს შეუძლია, ქვეყნის განვითარებისთვის 10,2 მილიარდი ევროს ღირებულების პროექტების ანაზღაურება მოითხოვოს.

აღნიშნული გადაწყვეტილება ევროკომისიამ ევროკავშირის სამიტამდე ერთი დღით ადრე მიიღო, რომელზეც გაფართოების საკითხი განიხილება. ვიქტორ ორბანი აცხადებს, რომ წევრობის შესახებ უკრაინასთან მოლაპარაკებების დაწყებას და უკრაინისთვის 50 მილიარდი ევროს ოდენობის დახმარებას დაბლოკავს. ევროკომისიაში უარყოფენ, რომ უნგრეთისთვის გაყინული თანხების განბლოკვა ვიქტორ ორბანის პოზიციის შეცვლის მიზნით მოხდა. ევროკომისიის განცხადებით, ეს გადაწყვეტილება იყო უნგრეთის მიერ სასამართლო რეფორმაში შეტანილი ცვლილებების პასუხი.

იუსტიციის საკითხებში ევროკომისარი დიდიე რეინდერსი აცხადებს, რომ უნგრეთის ამჟამინდელი რეფორმები სრულად შეესაბამება შეთანხმებულ მოთხოვნებს.

„ჩვენ მივიღეთ საკმარისი გარანტიები, რათა ვთქვათ, რომ სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა უნგრეთში გაძლიერდა“, – განაცხადა ევროკომისარმა. ევროკავშირს უნგრეთისთვის განკუთვნილი 22 მილიარდი ევროს ოდენობის თანხა აქვს გაყინული კორუფციასა და კანონის უზენაესობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო.

ბოდიში მაინც მოიხადეთ, მაჭყუარებო! 2

საქართველოში FARA-ს მიღება, შესაძლოა, ევროპიდან დირექტივის სახით მოაყოლონ კანდიდატის სტატუსს!

სიმუხთლე ჭამისა....

როცა პუშკინის „შუაშია“ და სტალინის 5

ბათარეკა გაბიდაური: 12

გრძელდროშიანები

გეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით ევროკავშირში!

ბოდიში მაინც მოიხადეთ, მატყუარებო!

საქართველოში FARA-ს მიღება, შესაძლოა, ევროპიდან დირექტივის სახით მოაყოლონ კანდიდატის სტატუსს!

EUROBAROMETER საქართველო კანდიდატის სტატუსს ოფიციალურად 15 დეკემბერს მიიღებს. გადაწყვეტილება ვალდებულებებით დახუნძლული იქნება. დიდი ალბათობით, ევროკავშირმა შესაძლოა, საქართველო დაავალდებულოს FARA-ს ანალოგი კანონის მიღებაში. ევროკომისიამ წარადგინა „დემოკრატიის დაცვის პაკეტი“, რომელიც უცხოური გავლენების შესახებ კანონპროექტს მოიცავს.

ბოლო კვლევამ აჩვენა, რომ ევროპელების 81% მიიჩნევს, რომ ჩვენს დემოკრატიულ სისტემებში უცხოური ჩარევა სერიოზული პრობლემაა, რომელიც უნდა გადაიჭრას. ფარული უცხოური გავლენის გამოაშკარავების დრო დადგა“, – ნათქვამია ევროკომისიის განცხადებაში.

ევროკომისიის წინადადება მოიცავს ისეთ მოთხოვნას, როგორიცაა რეგისტრაცია გამჭვირვალობის რეესტრში. კერძოდ, სუბიექტები, რომლებიც ინტერესებს წარმოადგენენ მესამე ქვეყნის სახელით, უნდა დარეგისტრირდნენ გამჭვირვალობის რეესტრში. ინტერესთა წარმომადგენლობითი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ძირითადი ელემენტები საჯაროდ ხელმისაწვდომი იქნება, რაც გამჭვირვალობისა და დემოკრატიული ანგარიშვალდებულების საშუალებას იძლევა.

ეს ეხება, მაგალითად, მიღებულ წლიურ თანხებს, მესამე ქვეყნებსა და საქმიანობის ძირითად მიზნებს. სუბიექტებს, რომლებიც ინტერესებს წარმოადგენენ მესამე ქვეყნის სახელით, მოეთხოვებათ შეინახონ ჩანაწერები მათ საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი ინფორმაციის ან მასალის შესახებ ამ საქმიანობის დასრულებიდან ოთხი წლის განმავლობაში.

აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა ბრიუსელში ღირებულებებისა და გამჭვირვალობის საკითხებში ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტმა, **ვერა იუროვამ** და ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტმა, დემოგრაფიისა და დემოკრატიის საკითხებში ევროკომისარმა, **დუბრავკა შუიცამ** წარადგინეს.

მაშ ასე, „დემოკრატიის დაცვის პაკეტი“ – ეს არის აგენტების გამჭვირვალობის კანონი და მიზნებიც ერთი ერთში ემთხვევა იმ მიზნებს, რაც ჩადებული იყო მის ქართულ ვერსიაში. რაც ნიშნავს, რომ მარტში გამჭვირვალობის შესახებ კანონზე აჟიოტაჟის რეალური მიზეზი არავის ჰქონია. შესაბამისად, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე **მიხეილ სარჯველაძე** თვლის, რომ ბოდიში უნდა მოიხადონ, ვინც საზოგადოებას არწმუნებდა, თითქოს დრამატული პროცესები ვითარდებოდა.

შალვა პაპუაშვილის შეფასებით, მოსახლეობამ დაინახა, თუ როგორ მწარედ მოატყუეს შიდა თუ გარე მეგობრებმა, როცა ამერიკულ კანონს დაარქვეს „რუსული კანონი“. პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ირონიულად ჩაგვეცინება, როცა ეს თემა დირექტივის სახით შემობრუნდება და საქართველოს მოსთხოვენ აღნიშნული კანონის მიღებას. ამასთან, პაპუაშვილი აცხადებს, რომ ჩვენ გვყავს უცხოური დაფინანსების მქონე რამდენიმე მულტიმილიონერი NGO, რომელიც მოქმედებს არა საქართველოს ინტერესებით, არამედ თავისი დამფინანსებლის ინტერესით.

„მაგალითად, ზოგიერთი ქვეყნის ინტერესია, რომ საქართველომ დაუწესოს სანქციები რუსეთს, ქართველი ხალხის ინტერესი არ არის, რომ რუსეთს საქართველომ სანქციები დაუწესოს. ვის ინტერესებს იცავენ მულტიმილიონერი NGO-ები? თავისი დამფინანსებლის ინტერესებს“, – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბრისას **შალვა პაპუაშვილმა.**

საქართველოში „აგენტების გამჭვირვალობის კანონპროექტის“ ერთ-ერთი ავტორი „ხალხის ძალის“ წევრი **სოზარ სუბარი** აცხადებს, რომ ამ კანონის წინააღმდეგ ბრძოლას ქვეყნის გარედან ჰქონდა ერთი მიზანი – არავის უნდა თავის აგენტურა დააყენოს დარტყმის ქვეშ და გაშიფროს ის. მისი თქმით, სწორედ აგენტურაა ის, რომ ადამიანები უწყინარი გრანტების სახით ასწავლიან ახალგაზრდებს, როგორ წაუკიდონ ცეცხლი პოლიციელებს და ბულდოზერებით შეიჭრან პარლამენტის შენობაში.

მიუხედავად ამისა, როგორც სუბარი აცხადებს, „ხალხის ძალა“ აღარ მიუბრუნდება ამ კანონს.

„ჩვენ რადგან ერთხელ ვთქვით, რომ აღარ მივუბრუნდებით ამ კანონს, მისი ინიციატორები „ხალხის ძალა“ აღარ ვიქნებით, თუმცა მიმაჩნია, რომ ეს კანონი აუცილებელია საქართველოსთვის. ის, რაც კარგია დემოკრატიისთვის ევროპაში და ამერიკაში და ის, რასაც ეწოდება დემოკრატიის დაცვის პაკეტი ამერიკასა და ევროპაში, შეუძლებელია საქართველოში დემოკრატიის წინააღმდეგ იყოს მიმართული,“ – დასძინა **სოზარ სუბარმა.**

2024-ში ჩვენ უნდა დავასრულოთ კოლექტიური „ნაცმოძრაობა“

ჩვენ გავაფორმეთ კონტრაქტი მოშე კლუგჰაფტსა და მირი მიქაელთან, ეს არის ორი წამყვანი სტრატეგიული კონსულტანტი, რომლებიც დაგვეხმარებიან პიარკამპანიების დაგეგმვაში **შემდეგი ერთი წლის განმავლობაში. ისინი ჩვენ ასევე გვეხმარებოდნენ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში და მაშინ ძალიან წარმატებული იყო მათი მხარდაჭერა.**

მეორე ტურში სალომე ზურაბიშვილმა, რომელსაც პირველ ტურში ჰქონდა მხოლოდ 38 პროცენტი, აიღო, საბოლოო ჯამში, 60 პროცენტი.

„საინტერესო რჩევები ჰქონდათ მათ. მაგალითად, ერთ-ერთი მათი რჩევა იყო, რომ ჩაგვენაცვლებინა სალომე ზურაბიშვილის ბანერები ჩვენი ბანერებით, რაც გავითვალისწინეთ, სასარგებლო აღმოჩნდა და დაგვეხმარა შედეგის გაუმჯობესებაში. ის ბანერები სისხლიანი იყო თუ არა, ეს სხვა თემაა, მაგრამ ძალიან კარგად ასახავდა „ნაცმოძრაობის“ სახეს, თუმცა მათი იდეა ეს პრინციპში არ იყო. ეს იდეა სხვა კონსულტანტების მხრიდან გაჩნდა, რაც ასევე წარმატებული აღმოჩნდა. საზოგადოებას მუდმივად უნდა ახსოვდეს ის, რა დანაშაულებიც აქვს „ნაცმოძრაობას“, რომ შეცდომა არ დაუშვას მომავალში. ჩვენი პიარული გუნდის გაძლიერება ნიშნავს იმას, რომ ჩვენთვის საკმარისი არ არის თუნდაც 55 პროცენტის მიღება, ჩვენი პრინციპული ამოცანაა, რომ კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ ჩვენი შედეგი და დავასრულოთ კოლექტიური „ნაცმოძრაობა“. აქედან გამომდინარე, კიდევ მეტად გვჭირდება თუნდაც იმ ძალიან მაღალი ციფრების გაუმჯობესება, რომლებიც დღეს არის დადასტურებული.

ჩვენ არ დავჯერდებით 55 პროცენტს, გვჭირდება უფრო მაღალი შედეგი. ჩვენი კამპანია იქნება თვისებრივად პოზიტიური, ავაგებთ ამ კამპანიას იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის. თუ დაგვჭირდება საზოგადოებისთვის შეხსენება, ვინ არიან კოლექტიური „ნაცმოძრაობის“ წევრები, ამასაც გავაკეთებთ“, – განაცხადა კოგახიძემ.

ქართული არმია ძლიერდება

საქართველოს თავდაცვის ძალებს საქართველოში დამზადებული უპილოტო საფრენი აპარატები და ამერიკული რადარები გადაეცა

საქართველოს თავდაცვის ძალებს ქართულ-პოლონურ **საწარმო „დელტა-ვებეში“ წარმოებული უპილოტო საფრენი აპარატები და ამერიკული წარმოების მრავალფუნქციური სარადარო სისტემები გადაეცა. ვაზიანის სასროლეთზე გამართულ საჩვენებელ ღონისძიებას საქართველოს თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე, თავდაცვის ძალების მეთაური გენერალ-მაიორი გიორგი მათიაშვილი, თავდაცვის უწყების ოფიციალური პირები, ასევე საქართველოს პარლამენტის საპარლამენტო უმრავლესობის წევრები დაესწრნენ.**

სამხედრო მოსამსახურეებმა თავდაცვის მინისტრს საქართველოში დამზადებული უპილოტო საფრენი აპარატებისა და ამერიკული წარმოების სახმელეთო სათვალთვალო რადარების შესაძლებლობები და ტაქტიკური-ტექნიკური მახასიათებლები გააცნეს. სტუმრები WARMATE-ის და FLYEYE-ის ტიპის უპილოტო საფრენი აპარატების სადემონსტრაციო ფრენებს დაესწრნენ, ასევე, სტაციონარული და მობილური სახმელეთო რადარების, საადაზვერვო დამრტყმელი კვადროკოპტერებისა და ბარაჟირებადი (კამიკაძე) უპილოტო საფრენი აპარატების გამოცდის პროცესს დააკვირდნენ.

უპილოტო საფრენი აპარატების წარმოებისა და აწყობის პროცესზე შპს „დელტა ინტერნეიშენალ“-ისა და პოლონური კომპანია „ვებე ელექტრონიქსს“ მიერ დაარსებული საწარმო შპს „დელტა-ვებე“ მუშაობს. აღნიშნული პროექტი დრონების ადგილობრივი წარმოების განვითარებას ისახავს მიზნად. პარალელურად, „დელტა-ვებე“-ს ბაზაზე შექმნილ ტრენინგ ცენტრში წარმატებით მიმდინარეობს დრონების ოპერატორების მომზადებისა და გადამზადების პროცესი.

მრავალფუნქციური სარადარო სისტემები და უპილოტო საფრენი აპარატები თავდაცვის ძალების განვითარების 2030 გეგმის შესაბამისად გადაეცა. აღნიშნული ტექნიკა თავდაცვის ძალების ქვედანაყოფებზე გადანაწილდება, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს თავდაცვის სადაზვერვო შესაძლებლობების გაძლიერებას.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ 105 წლის „საქართველოს რესპუბლიკა“

ხელმოწერისთვის მიმართეთ:

შპს „ელვა პი“
595 382 626;
2 38 26 73;
2 38 26 74
577 308 847

შპს „პლანეტა ფორტე“
579 79 99 08;
599 94 73 11

წერილები გამოგვიგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:

SAKRESP@TOP.GE
SAKRESP@MAIL.RU

დახმარების მსურველები დაგვიკავშირდით:

თბილისი, ა. წერეთლის პროსპექტი №116, „დიდუბე პლაზა“ – საქართველოს ჟურნალისტთა კავშირისა და გაზეთ „საქ. რესპუბლიკის“ ოფისი.

ნებისმიერი რაოდენობის შემოწირულობის (დახმარების) თანხა შეგიძლიათ ჩარიცხოთ ანგარიშზე
GEO90BG0000000538329790

შპს „100 – ახალი საქართველოს რესპუბლიკა“,
გაზეთ „საქ. რესპუბლიკის“ გამომცემელი.
ტელ: 599 36 00 35, 577 77 27 17;

...ეს ადამიანები ბენზინის ავზთან ასანთით დგანან!

მელიაზე დიდი უბედურება ხაბეიშვილია!

„საქმე იმიტომ უფროა ცუდად, რომ ცუდად როა, არ იცის“... ოპოზიციამ!

გოლოს გამოქვეყნებული NDI-ის უახლესი კვლევის მიხედვით, უმრავლესობა პოლიტიკურად გაფარჩაკებულია. კვლევამ აჩვენა, რომ მოსახლეობის უმეტესობამ არ იცის ან არ ასახელებს იმ პარტიას, რომელიც მის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს დგას. ხოლო „ნაციონალურ მოძრაობას“ მხარს გამოკითხულთა მხოლოდ 4% უჭერს. დანარჩენ ოპოზიციას კი ამაზე მძიმე მდგომარეობა აქვს.

პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, **ირაკლი კობახიძის** განცხადებით, ბოლო კვლევების მიხედვით, ოპოზიციის ელექტორალური მხარდაჭერა მნიშვნელოვნად არის შემცირებული, რაც ნიშნავს, რომ მათ ქუჩის რესურსიც არ აქვთ.

„ბოლო წელიწად-ნახევარია, რამდენიმე კვლევა ჩატარდა და არც ერთხელ არ გვქონია 50 პროცენტზე დაბალი მაჩვენებელი და ჩვენი მაჩვენებელი 50 პროცენტს კარგად იყო აცილებული. ეს, მათ შორის, განპირობებულია იმით, რომ ოპოზიციური ელექტორატი ვეღარ ხედავს საკუთარ არჩევანს ოპოზიციის შიგნით, რადგან ადამიანები ხედავენ ყველაფერს. ხაბეიშვილს იმაზე ნაკლები აძლევს ხმას, ვიდრე თავის დროზე თუნდაც მელიას აძლევდა. წარმოიდგინეთ, რა მძიმე არჩევანია, ერთ მხარეს არის ერთი უბედურება და მეორე მხარეს მელიაზე მეტი უბედურება. მელიაზე მეტი უბედურება როგორ შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს, მაგრამ არის – ხაბეიშვილი“, – განაცხადა **პოგახიძემ.**

* * *

ანალიტიკოსი **გია აგაშიძე** ამბობს, რომ ქვეყნისთვისვე არ არის კარგი, როდესაც ხელისუფლებას ასეთი სუსტი ოპოზიცია ჰყავს. აგაშიძე მიიჩნევს, რომ „ქართული ოცნებისთვისაც“ კი არ შეიძლება ასე, მონოპოლიურად გამარჯვებადი პარტია იყოს. ანალიტიკოსი ფიქრობს, რომ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები იმდენად განულებულები არიან, რომ მოსახლეობას მათი არსებობაც კი დაავიწყდა.

„ოპოზიციის მუდმივი დღის წესრიგი არის ქვეყნის დესტრუქციისკენ წაყვანა, არევა და როგორმე ხელისუფლებაში მოსვლა. მათ, რეალურად, ქართველი ხალხი არ ადარდებთ. არც ერთი მათგანი ქვეყნისთვის და მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან საჭირბოროტო საკითხებზე არ საუბრობს. ხალხმა დაინახა, რომ რეგიონში შექმნილი უმძიმესი სიტუაციიდან გამომდინარე, „ოცნებამ“ აწარმოა მშვიდობის პოლიტიკა, რაც ძალიან კარგად გამოუვიდა. ამის მიუხედავად, ოპოზიცია მუდმივად აპელირებდა იმაზე, რომ მეორე ფრონტი გახსნილიყო ჩვენს ქვეყანაში და ომის პროპაგანდას ეწეოდნენ. ხალხმა ძალიან კარგად დაინახა, ვის რა უნდოდა და საით მიჰყავდათ ქვეყანა. ამიტომ „ოცნების“ რეალური კონკურენტი ოპოზიციურ ფლანგზე არ არის. მთავარი ოპოზიციური პარტია ენმ ხელსა და თვალს შუა იშლება.

შესაძლოა, სამ ნაწილადაც კი გაიყოს. დანარჩენ პატარა პარტიებს კი პულსიც აღარ ესინჯებათ და განულებულები არიან. ვნახეთ გამოკითხვები, სადაც უმძიმესი რეალობაა მოცემული. გაყალბებულ კვლევაშიც კი ვერ დამალეს ის უბედურება, რაც ოპოზიციას სჭირს. არ ვიცი 2024 წლამდე საერთოდ ასე როგორ და რა ფორმით მიაღწევენ“, – ამბობს **აგაშიძე.**

* * *

ისტორიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** ფიქრობს, რომ ოპოზიცია იმდენად სუსტია, ამაზე მძიმე სიტუაციაში ჯერ არ ყოფილან. გვენეტაძე ამბობს, რომ ეს არ არის ოპოზიცია, ესენი არიან მე-5 კოლონა, რომელსაც კონკრეტული მიზნებისთვის აფინანსებენ, ამიტომ მათ მიმართ ხელისუფლება მაინც ფრთხილად უნდა იყოს.

„ეს ადამიანები ბენზინის ავზთან დგანან და მათ პატრონებს ასანთი აქვთ მიცემული. რა წუთშიც ეტყვიან, იმ წუთიდან ქვეყანას არევენ. ჩვენ 7-8 მარტს ძალიან მძიმე სიტუაციას გადავურჩით. გრიგორიადისმა აღიარა, რომ აპირებდა პოლიციის დაწვას. ეს არის ეშმაკური სვლები, რომელსაც თავის ჭკუით აკეთებენ. ძალიან ცუდ დღეში არიან და ვფიქრობ, ასეთ დროს, უფრო საშიშები არიან. რა დროს რა დავალებას მიიღებენ და რას მოიმოქმედებენ, კაცმა არ იცის. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ იმისთვის, იქნება ეს ამომრჩეველი, სახელმწიფო სტრუქტურები თუ სხვადასხვა, აუცილებლად ეს რადიკალური ძალა დაბლოკილი უნდა იყოს კონსტიტუციის ფარგლებში. ეს ხალხი წავა ყველაფერზე, ამიტომ უნდა გამოჩნდეს ქვეყანაში ის ძალა, რომელიც რეალური ოპოზიცია იქნება.

გააკრიტიკებს ხელისუფლებას, მაგრამ ქვეყნის დესტრუქციაზე წამსვლელი არ იქნება. ესენი არიან ის ძალა, რომელიც საქართველოს პოლიტიკას უნდა ჩამოშორდნენ. ამის გამკეთებელი კი ქართველი ხალხია. როცა მივა ამომრჩეველი საარჩევნო ყუთთან, დარწმუნებული ვარ, ამ ხალხს ისტორიულ სანაგვეზე გაუშვებს“, – ამბობს **გვენეტაძე.**

მოამზადა
ლიკა ბერიკაშვილმა

„ოცნების“ სტრატეგიული მრჩევლები

ისევ კლუგჰაფტი, ისევ მიქაელი!

„ქართული ოცნება“ განცხადებას ავრცელებს, სადაც აღნიშნულია, რომ პარტიამ კონტრაქტი გააფორმა მოშე კლუგჰაფტთან და მირი მიქაელთან, როგორც საარჩევნო პერიოდში პარტიის სტრატეგიულ მრჩევლებთან.

„კლუგაფტი და მიქაელი ACT NEWS-ის დამფუძნებლები არიან. მოშე კლუგჰაფტი არის საერთაშორისო სტრატეგიული მრჩეველი და კამპანიის მენეჯერი პოლიტიკური ლიდერებისა და პოლიტიკური პარტიებისთვის მთელს მსოფლიოში. ის მუშაობდა პრემიერ-მინისტრ ნეთანიაჰუსთან და პრემიერ-მინისტრ ბენეტთან ისრაელში, ასევე ავსტრიის კანცლერთან, საბერძნეთის პრემიერ-მინისტრთან, სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრთან და სხვებთან.

კლუგჰაფტი მართავდა სალომე ზურაბიშვილის მეორე ტურის წინასაარჩევნო კამპანიას 2018 წელს, რომელშიც სალომე ზურაბიშვილმა მოიგო საპრეზიდენტო არჩევნები და ასევე მართავდა PSD-ის (სოციალ-დემოკრატიული პარტია) წარმატებულ კამპანიას რუმინეთში 2016 წლის არჩევნებისთვის. ის „ფორბსმა“ აირჩია ისრაელის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ადამიანად 40 წლამდე, ხოლო „იერუსალიმ პოსტმა“ აირჩია 2020 წლის მსოფლიოს 50 ყველაზე გავლენიან ებრაელს შორის. მირი მიქაელი ბოლო 17 წლის განმავლობაში მუშაობდა როგორც ისრაელის ჟურნალისტი ისრაელის წამყვან ტელეარხებზე. ბოლო წლებში მიქაელს მიყავდა უამრავი გადაცემა მიმდინარე მოვლენების შესახებ, სპეციალური საინფორმაციო გადაცემები და აშუქებდა არჩევნებს მე-13 და მე-12 არხებზე.

მან ასევე გამოაქვეყნა საგამოძიებო სტატიები და მხატვრული სიუჟეტები მთავარ საინფორმაციო გამოცემებში. მიქაელი ასევე იყო ევროპული კორესპონდენტი ტერორისტული თავდასხმებისა და ISIS-ის აღზევების პერიოდში და ამ პერიოდის განმავლობაში მან ინტერვიუ ჩამოართვა მსოფლიოს ბევრ ლიდერს, მათ შორის ბორის ჯონსონს და ანგელა მერკელს“, – ნათქვამია განცხადებაში.

ამასთან, „ქართული ოცნება“ ავრცელებს მოშე კლუგჰაფტის კომენტარსაც:

„მოხარული ვარ, რომ დავბრუნდი საქართველოში და ვხედავ მის მნიშვნელოვან განვითარებას როგორც ეკონომიკაში, ასევე ევროკავშირისადმი მიდგომაში და განსაკუთრებით მის უნარში, შეინარჩუნოს მშვიდობა იმ დღეებში, როდესაც მსოფლიო ომის პიროგებშია. მაგრამ საკმარისი არ არის, რომ უბრალოდ გვერი აკეთო – ასევე აუცილებელია იმის უზრუნველყოფა, რომ საზოგადოებამ იცოდეს ამის შესახებ და ჩვენ ამაში დავეხმარებით მომავალ წელს“.

თანამშრომლობის მემორანდუმი უნივერსიტეტსა და „ბაკმს“ შორის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ და გამომცემლობა „ბაკმის“ დირექტორმა რუსუდან მოსიძემ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრესსამსახურის ინფორმაციით, თანამშრომლობის ფარგლებში გამომცემლობა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას ახალ გამოცემებს უსასყიდლოდ გადასცემს.

რექტორის ჯაბა სამუშიას თქმით, თსუ-ში სწორედ ის ინტელექტუალური პოტენციალია, რომელიც ამარაგებს ქართული წიგნის ბაზარს. თბილისის ბაზარზე არსებული დიდი გამომცემლობების წიგნების ავტორების დაახლოებით 60 პროცენტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები არიან.

გამომცემლობა „ბაკმის“ დირექტორმა რუსუდან მოსიძემ აღნიშნა, გამომცემლობები იმისთვის არსებობს, რომ ქართველ მწერლებს და მეცნიერებს შეუწყოს ხელი და პოპულარიზაცია გაუწიოს მათ შემოქმედებას.

„ჩვენი გამომცემლობა მზად არის ყველა რესურსი, რაც გაგვაჩნია, მოვახმაროთ ქართველი მეცნიერების პოპულარიზებას. ბედნიერი ვართ, რომ ჩვენი წიგნები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც დაიდებს ბინას. ყველა ახალ, განსხვავებულ და საინტერესო გამოცემას გადმოვცემთ უნივერსიტეტს“...

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის ზურაბ გაიპარაშვილის თქმით, ტრადიციად იქცა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცნობილ გამომცემლობებთან აფორმებს მემორანდუმებს, რის საფუძველზეც გამომცემლობები უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აჩუქებენ გამორჩეულ ლიტერატურას.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებობს სპეციალური კუთხე, სადაც განთავსებულია პარტნიორი გამომცემლობების წიგნები.

154 ახალი ავტობუსი - საჩუქრად რეგიონებს!

პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით რეგიონებს ახალი ავტობუსები გადაეცათ. დღეიდან ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მოსახლეობას ახალი 51 ერთეული „ისუზუს“ ფირმის ავტობუსი მოემსახურება.

პროექტი ითვალისწინებს „ისუზუს“ ფირმის 154 ერთეული, 8-მეტრიანი ავტობუსების შესყიდვას, რომლებიც ქვეყნის 38 მუნიციპალიტეტში გადანაწილდება.

ავტობუსები მოქალაქეების შიდა და საქალაქთაშორისო ტრანსპორტირებას მოემსახურება. თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ავტობუსები 47 მგზავრზეა გათვლილი და ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. ახალი ავტობუსების შესყიდვისთვის ბიუჯეტიდან 53 მილიონ ლარამდეა გამოყოფილი.

მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი ბათუმში

შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე კრიმინალური პოლიციის რეფორმის ფარგლებში, ბათუმში მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი ამოქმედდა, –ამის შესახებ ინფორმაციას შსს-ის პრესსამსახური ავრცელებს.

ბათუმში, აჭარის პოლიციის დეპარტამენტში, მართლწესრიგის 20 ოფიცერი მუშაობას უკვე შეუდგა. მართლწესრიგის ოფიცრებს პირველი სამუშაო დღის დაწყება შინაგან საქმეთა მინისტრმა პირადად მიულოცა.

ვახტანგ გომელაური მართლწესრიგის ოფიცრებს გაესაუბრა და მათ პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში წარმატება უსურვა. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირები.

ადგილობრივმა ტურისტებმა 366 მილიონ ლარზე მეტი დახარჯეს!

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2023 წლის მესამე კვარტალში საქართველოს ტერიტორიაზე 15 წლის და უფროსი ასაკის ადგილობრივი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობა 1 405.0 ათასით განისაზღვრა, რომელთა მიერ ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიურმა რაოდენობამ 1 766.7 ათასი ერთეული შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობა გაიზარდა 9.2 პროცენტით, ხოლო მათ მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა 20.1 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

საქსტატის ცნობით, 2023 წლის მესამე კვარტალში საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ტურისტული ტიპის ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა 822.2 ათასით განისაზღვრა, რაც 6.1 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

CNN უწყვეტი რთველი, უკვდავი მრავალჟამიერი...

„სიენენზე“ ქართული ღვინის შესახებ სტატია გამოქვეყნდა - „ქართული ღვინის ისტორია - 8 000-წლიანი უწყვეტი რთველი“

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, ამერიკულმა ტელეკომპანია „სიენენმა“ ოფიციალურ გვერდზე სტატია სათაურით „ქართული ღვინის ისტორია – 8 000-წლიანი უწყვეტი რთველი“ გამოაქვეყნა.

ინფორმაციას ამის შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ცნობით, სტატიაში აღნიშნულია იმ სამეცნიერო დასკვნაზე, რომელიც ასაბუთებს, რომ ღვინის დაყენების 8 000-წლიანი ისტორია სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე დაიწყო.

„ვაზის გაშენებისთვის ხელსაყრელი, ზომიერი კლიმატით დაჯილდოებული საქართველოს ლანდშაფტი 525-ზე მეტი ვაზის ადგილობრივი ჯიშის სამშობლო გახდა. სახელგანთქმული ალაზნის ველი, კავკასიონის მთების ფონზე, მეღვინეობის თავშესაფარია, კარგად გაჟღენთილი, მინერალებით მდიდარი ნიადაგების კომბინაციით და სიმაღლით, რაც ხელს უწყობს ქართული ღვინისთვის დამახასიათებელ გამორჩეულ გემოებსა და არომატს. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ღვინის დაყენების კულტურა, რომელიც დაიწყო 8000 წლის წინ, არათუ ოდესმე დავიწყებას მისცემია, არამედ უფრო მეტად განვითარდა და გაძლიერდა. ქართული მევენახეობის ყველაზე გავრცელებული რიტუალი ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ტრადიციაა. მიწაში ჩაფლული დიდი კონუსისებრი თიხის ჭურჭლის გამოყენება დუღილის დროს ტემპერატურის მუნებრივი რეგულირების შესაძლებლობას იძლევა, რაც მას უნიკალურ ტექსტურას და კომპლექსურობას ანიჭებს“, – ნათქვამია სტატიაში. სტატიაში აღნიშნულია, რომ ქვეყნის სტრატეგიულმა მდებარეობამ ხელი შეუწყო სავაჭრო კავშირებს ევროპასთან, აზიასთან და ახლო აღმოსავლეთთან.

ფრაგმენტი სტატიიდან: **„იმის გამო, რომ ქვევრი „იუნესკოს“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად არის გამოცხადებული, საქართველოს უძველესი მეღვინეობის პრაქტიკა კვლავაც გლობალურად მიმზიდველია. თუ გსურთ, აღმოაჩინოთ მეღვინეობის სამშობლო, საქართველო, ქართული ღვინო ნაბიჯ-ნაბიჯ აცოცხლებს ღვინის დაყენების პროცესს ნიადაგიდან მოთლამდე“.**

სტატიაში საუბარია ასევე ქართულ სამზარეულოზე, საქართველოში დამკვიდრებულ ღვინის ფესტივალებზე და ღვინის ტურებზე, რაც იზიდავს როგორც ადგილობრივ მცხოვრებლებს, ისე ტურისტებს, – აღნიშნულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციაში.

საქართველოში უმსხვილესი ინვესტორი კვლავ აშშ-ია

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2023 წლის მესამე კვარტალში 316.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

საქსტატის ცნობით, 2023 წლის მესამე კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა შემცირებულია 61.5 პროცენტით.

უწყების ინფორმაციით, შემცირების გამომწვევ უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს სავალო ვალდებულებების და რეინვესტიციის მოცულობის შემცირება. იმავე პერიოდში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სააქციო კაპიტალი 2.5-ჯერ გაიზარდა და 590.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო რეინვესტიციის მოცულობა 30 პროცენტით შემცირდა და 329.2 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით, უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნებში, პირველ ადგილზეა აშშ-ია – 51.8 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 16.4 პროცენტს შეადგენს, მეორე ადგილზე იმყოფება გაერთიანებული სამეფო – 45.8 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე ნიდერლანდები – 45.3 მლნ. აშშ დოლარით. ხუთი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი ინვესტიციების მთლიანი მოცულობის 58.7 პროცენტს შეადგენს.

როცა პუშკინიც „შუაშია“ და სტალინიც

რუსეთის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს სტალინისა და „სტალინური პერიოდის“ გაღიდებისთვის: პუტინის მმართველობის დროს რუსეთში სტალინის 110 ძეგლი დაიდგა.

კრემლი და მისი პროპაგანდისტული მედია ძალიან ღიზიანდებიან იმის გამო, რომ უკრაინაში, ლენინის ძეგლებისა და საბჭოთა სიმბოლოების შემდეგ, მასობრივად იღებენ პუშკინის, ეკატერინე II-ის, სუვოროვისა და რუსული იმპერიული მემკვიდრეობის სხვა წარმომადგენელთა ძეგლებს.

რატომ ანიჭებს რუსული პროპაგანდა ძეგლებს ამხელა მნიშვნელობას? როგორც კრემლის ერთ-ერთმა მთავარმა პროპაგანდისტმა, დმიტრი კისილიოვმა იკითხა „გულუბრყვილოდ“:

„რა შუაშია პუშკინი?“

რუსეთის პროპაგანდას ცოტა რამ აღიზიანებს ისე ძალიან, როგორც უკრაინაში ძეგლების აღება-დემონტაჟი. თავის დროზე კრემლისტურ მედიას საშინლად აღიზიანებდა ე.წ. ლენინცვენა, რომელიც 2014 წელს დაიწყო უკრაინაში დეკომუნიზაციის პროცესის პარალელურად და, რომლის ფარგლებშიც მთელი უკრაინის მასშტაბით აიღეს (დაამხეს) „მსოფლიო პროლეტარიატის ბელადისა“ და 1917 წლის ბოლშევიკური გადატრიალების სულის ჩამდგმელის ძეგლები. ახლა რუსული მედია აღშფოთებულია იმით, რომ უკრაინელები მასობრივად იღებენ ალექსანდრე პუშკინის, ეკატერინე II-ის, ალექსანდრე სუვოროვისა და რუსეთის იმპერიის მემკვიდრეობის განმასახიერებელ სხვა მოღვაწეთა ძეგლებს.

„უკრაინაში ერჩიან არა მეკატერინე მეორის ძეგლს, არამედ ერჩიან რუსეთს, რომელმაც საკუთრივ აითვისა ეს ტერიტორია და სადაც შეიტანა ცივილიზაცია“, — წერდა რუსული „კომსომოლსკაია პრავდა“ ოდესაში რუსეთის იმპერატორის ძეგლის დემონტაჟის შესახებ.

ეკატერინე II, სუვოროვი

ოდესაში ეკატერინე მეორის ძეგლი, რომელიც 1900 წლიდან იდგა ქალაქის ცენტრში, 2022 წლის დეკემბერში აიღეს, რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ.

ამავე პერიოდში აიღეს რუსი მხედართმთავრის, ალექსანდრე სუვოროვის ძეგლიც. უკრაინის ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტში რუსეთის იმპერიის შემოქმედთა ძეგლებს ადარებენ საზღვრის გოძებს, რომლებითაც მოსკოვი ახდენს მისი ინტერესის სფეროში მოქცეული მიწების (ტერიტორიების) მარკირებას, მონიშვნას.

„ეს ძეგლები, ასე თუ ისე, აღიქმებიან რუსეთის ყოფნის მარკერებად. თითოეული ეს ძეგლი არის ერთგვარი სიმბოლო და რუსეთის თავდასხმამაც აჩვენა, რომ ტერიტორიებს, სადაც დგანან ეს ძეგლები, რუსეთის ფედერაცია აღიქვამს თავის საკუთარ მიწებად“, – ამბობს ინსტიტუტის მკვლევარი **გოგდან პოროლენკო**, რომელიც ასევე იშველიებს რუსი პროპაგანდისტისა და ტერორისტის (უკრაინაში იძებნება შესაბამისი მუხლით), მწერალ ზახარ პრილეპინის ნათქვამს: „სადაც ალექსანდრ პუშკინის ძეგლები დგას, იქ რუსი ადამიანები ცხოვრობენ. შესაბამისად, წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება რუსებმა აიღონ პუშკინის, სუვოროვის და მით უმეტეს ეკატერინე მეორის ძეგლები“.

რუსული პროპაგანდისთვის მეზობელ ქვეყნებში მიმოფანტული რუსი სახელმწიფო მოხელეებისა და კულტურის მოღვაწეების ძეგლები „ტერიტორიების რუსულობის“ წყალგაუვალი ნიშანი და არგუმენტია.

● **როდიონ მიროშნიკი, რუსი პოლიტოლოგი:** „ოდესაში ეკატერინე მეორის ძეგლი 122 წლის განმავლობაში იდგა, აღიარებული იყო კულტურული მემკვიდრეობის შესანიშნავ ძეგლად, ითვლებოდა ოდესის მარგალიტად. ახლა ძეგლის ნაცვლად ფრიალებს თანამედროვე უკრაინის ლურჯ-ყვითელი დროშა, რომელიც ტალახში ტკეპნის არა რუსეთის, არამედ საკუთარ ისტორიას“.

● **არმენ გასპარიანი, ჟურნალისტი, ისტორიკოსი, რუსეთის ისტორიის X კლასის სახელმძღვანელოს ერთ-ერთი ავტორი:** „ამ ქალაქმა (ოდესამ) გაუძლო ბევრ რამეს, გაუძლო ნაცისტურ-რუმინულ ოკუპაციას, ბევრი რამ ნახა, მაგრამ ის ახლა მოკვდა, მისი სხეული მიაბარეს მიწას“.

ა.ს. პუშკინი

უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის დაწყებამდე ალექსანდრე პუშკინის ათეულობით ძეგლი იდგა. მარტო კიევში თავს იწონებდა პოეტის ექვსი გამოსახულება. საუბარია ძეგლებზე, ბიუსტებზე, გორელიეფებზე... მათ, როგორც, წესი, დგამდნენ სასწავლო დაწესებულებებთან პოეტის მორიგი მრგვალი თარიღის აღნიშვნის ნიშნად.

ბოგდან კოროლენკოს თქმით, 2022 წლისთვის უკრაინაში მხოლოდ პუშკინის 60-ზე მეტი ძეგლი იდგა. მაშინ, როცა დანარჩენ მსოფლიოში, რუსეთისა და მისი სატელიტების გამოკლებით, 40-მდე ძეგლი თუ მოიძებნებოდა.

„საკითხავია, ასეთი რა მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა პუშკინმა უკრაინელი ხალხისათვის?“, – კითხულობს უკრაინელი მკვლევარი, რომლის თქმითაც, უკრაინაში პუშკინის მონუმენტების აღება დაიწყო რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ. პუშკინის პირველი ძეგლი აიღეს სოფელ მუკაჩევოში 2022 წლის 7 აპრილს, შემდეგ უჟგოროდსა და ტერ-

ეკატერინე მეორის ძეგლის დემონტაჟი ოდესაში. 2022 წლის 29 დეკემბერი

ნოპოლში, თუმცა რუსულმა პროპაგანდამ ხმამაღლა გაპროტესტება დაიწყო 2023 წელს, როცა კიევშიც აიღეს რუსი პოეტის ძეგლი.

რუსულმა პროპაგანდამ ცინიკური სიუჟეტები მიუძღვნა ამ ამბავს, აი, თურმე ვინ ყოფილა სინამდვილეში დამნაშავე უკრაინელი ხალხის უბედურებაშიო. სწორედ მაშინ იკითხა დმიტრი კისილიოვმა, რა შუაშია აქ პუშკინიო?!

რუსული პროპაგანდის პასუხად უკრაინელი მკვლევრები ამბობენ, რომ სწორედაც რომ შუაშია, რადგან კრემლი და მისი პროპაგანდა რუსი პოეტის ხატებას იყენებენ თავიანთი პოლიტიკური მიზნებისთვის. სხვათა შორის, პოეტის სიტყვებით უკეთებდნენ რეკლამას რუსეთის კონსტიტუციაში შეტანილ ცვლილებებს, რომლებითაც განულდა პუტინის წინა საპრეზიდენტო ვადები და მას კიდევ ორი ვადით (ჯამში 12 წლით) მიეცა პრეზიდენტად კენჭისყრის უფლება.

„პუშკინი ხმას მისცემდა ამ კონსტიტუციურ ცვლილებებს, რათა მხარი დაეჭირა დიდებული რუსული ენისათვის“, – განაცხადა მაშინ (30.06.2020) **სერგეი სტეპაშინმა,** პუტინის პოლიტიკური გუნდის წევრმა და რუსეთის კონტროლის პალატის თავმჯდომარემ.

ხერსონის ოკუპაციის დროს კი რუსი სამხედროების მიერ აღმართულ ბილბორდზე, რომელიც აუწყებდა მნახველს, რომ ხერსონი რუსული ქალაქია, სწორედ ალექსანდრე პუშკინი იყო გამოსახული.

„ხერსონი – ქალაქი რუსული ისტორიით. ხერსონი პუშკინმა მოინახულა გავლით, როცა სიმფეროპოლიდან კიშინიოვში მიემგზავრებოდა 1820 წლის 18 სექტემბერს. მეორედ ალექსანდრ სერგეევიჩი ამ ქალაქში იმყოფებოდა 1824 წლის მაისში. ხერსონთანაა დაკავშირებული დიდი პოეტის წინაპრების ისტორია – ამ ქალაქს აშენებდა მისი ცნობილი ნათესავი – ივან აბრამის ძე ჰანიბალი“, – ამ ტექსტის გარდა ბილბორდზე გამოტანილი იყო ჩანაწერი პუშკინის დღიურიდან: **„ივან აბრამის ძე... 1779 წელს მან ააშენა ხერსონი. მისი დადგენილებები დღემდე პატივისცემით სარგებლობენ რუსეთის სამხრეთში, სადაც 1821 წელს შევხვდი მოხუცებს, რომლებიც ცოცხლად ინახავდნენ მის ნათელ ხსოვნას“.**

კირილ ოსპოვატის თქმით, პუშკინი ყოველთვის ითვლებოდა რუს ეროვნულ პოეტად, მაგრამ რატომღაც ბოლშევიკებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს მას გაგანია სტალინური რეპრესიების დროს. 1937 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ არნახული მასშტაბით აღნიშნა პოეტის გარდაცვალების 100 წლისთავი. პუშკინი ჩაეწერა საბჭოთა კულტურის კანონში, რომლის დანიშნულება მთელი საბჭოთა იმპერიის შეკვრა იყო. საბჭოთა მთავრობა აღიარებდა პოეტის შემოქმედების ღირებულებას და აღნიშნავდა: **„პუშკინი ჩვენიანია, საბჭოელია, რადგან საბჭოთა მთავრობამ მემკვიდრეობით მიიღო ყველაფერი, რაც საუკეთესოა ხალხში“. პოეტის იმიჯი მარჯვედ გარდაქმნა პროპაგანდამ სოციალისტური რეჟიმის ლეგიტიმაციის მიზნით, პუშკინს რევოლუციონერობა „დაჰბრალდა“.**

კირილ ოსპოვატის თქმით, იმპერიულობითაა გაჟღენთილი პუშკინის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ლექსი „ძეგლი“:

„ჩემი სახელით აივსება დიდი რუსეთი,
ყოველი ერი შემინახავს დამახსოვრებით,
სლავთა მემკვიდრე და ფინელი და ტუნგუსელი,
კალმიკი, ტრამალ ველთა მცხოვრები,
მოყვარულ ხალხში არ მოკვდება ჩემი სუფევა,
რადგან სიკეთეს უგალობდა ჩემი ჩანგური,
რადგან ვადიდე ჩვენს სასტიკ დროს თავისუფლება
და შევივრდომე ყველა ჩაგრული“.

„ამ ლექსში რუსეთი დიდია და გაგებულია როგორც ჩამონათვალი არარუსული, დაპყრობილი ტერიტორიებისა. „სლავთა მემკვიდრე“ ესეც ერთგვარი წინასწარმეტყველებაა, რომ პოლონელებიც და უკრაინელებიც წაიკითხავენ პუშკინს, ე.ი. დაივიწყებენ თავიანთ ენებს. წინასწარმეტყველება იმისა, რომ ამ ადგილობრივი ენების ადგილზე მოვა რუსული ენა და პუშკინი, როგორც მათი პოეტი“.

ოკუპირებული ტერიტორიები

უკრაინაში საომარი მოქმედებების დროს რუსი სამხედროები ხშირად იყენებენ საბჭოთა წითელ ალმებს, ამასთან, კრემლის მედია ავრცელებს ნარატივს, რომ ეს განმათავისუფლებელი ომია.

პოლიტიკის ანალიტიკოსების აზრით, იმპერიის გარდასული დიდების აღორძინება ახალი მიწების დაპყრობის ხარჯზე, როგორც ჩანს, რუსეთის ხელისუფლების აკვიატებულ იდეად იქცა. 2022 წლის ივლისში პუტინმა თავისი თავი პეტრე პირველს შეადარა და ილაპარაკა რუსეთის ისტორიული ტერიტორიების დაბრუნებაზე.

„ოკუპანტებს ესმით სიმბოლოების მნიშვნელობა, შესაბამისად, ნიშნავენ ტერიტორიებს თავიანთი სიმბოლოებით, – ამბობს ბოგდან კოროლენკო, – ამის ნათელი მაგალითია ის, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსებმა აიღეს ჰოლოდომორის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი. სამაგიეროდ კვარცხლბეკზე დააბრუნეს 2016 წელს დემონტირებული ლენინის ძეგლი“.

რუსმა ოკუპანტებმა ჰოლოდომორის მსხვერპლთა მონუმენტები აიღეს როგორც ხერსონში (24.11.2023), ასევე ოკუპირებულ მარიუპოლში (20.10.2022). ახალ კახოვკაში ოკუპანტებმა აღადგინეს ლენინის ძეგლი (30.04.2022), ივივე გაკეთეს მელიტოპოლში (05.11.2022).

საბჭოთა ეპოქის ძეგლების აღდგენა, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ნოსტალგია, დიდი ხანია იქცა პუტინის რუსეთის სახელმწიფო იდეოლოგიის ღერძად. დღევანდელ რეპრესიებს (ფაქტობრივად ყველა სახის განსხვავებული აზრის დევნას), სახელმწიფო პროპაგანდა ამართლებს ომიანობით, რომ „ასეთ დროს ხელისუფლება უნდა იყოს ხისტი, როგორც სტალინის დროს იყო“. საბჭოთა დიქტატორს კვლავ პატივს მიაგებენ, მეტიც, პუტინის რუსეთში მას ძეგლებს უდგამენ. 2023 წლის ოქტომბრის მდგომარეობით რუსეთში სტალინის 110 ძეგლი იდგა და, როგორც სოციოლოგიური კვლევის შედეგები აჩვენებს, მათი რაოდენობა სავარაუდოდ კვლავ გაიზრდება.

2022 წელს, რუსეთის საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრის გამოკითხვის თანახმად, იოსებ სტალინი, პუშკინთან და პეტრე I-თან ერთად, შევიდა ყველაზე გამოჩენილი რუსების სამეულში. 2019 წელს „ლევადა-ცენტრის“ სოციოლოგებმა ჩაატარეს გამოკითხვა იოსებ სტალინის ფიგურის მიმართ რუსების დამოკიდებულების შესახებ. გამოკითხვამ აჩვენა, რომ 2019 წელს საბჭოთა ლიდერის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჯამურმა მაჩვენებელმა მიაღწია მაქსიმუმს: კვლევის ყოველი მეორე მონაწილე (51%) ამბობდა, რომ მოსწონს სტალინი.

პუშკინის ძეგლი რუსეთის მიერ ოკუპირებულ მარიუპოლში

რუსეთის მიერ დაწყებულმა ომმა ბევრი უკრაინელი აიძულა გადაესინჯა თავისი დამოკიდებულება რუსებთან არა მხოლოდ აწმყოში, არამედ წარსულშიც. უკრაინელი ანალიტიკოსების თქმით, შეუძლებელია რამე სახის ძმობაზე საუბარი, როცა რუსეთის არმია განაგრძობს მშვიდობიანი უკრაინელების ხოცვას. დეკომუნიზაციის შემდეგ უკრაინა საბჭოთა და რუსული იმპერიული მემკვიდრეობისგანაც თავისუფლდება, პარალელურად კი აღადგენს საკუთარ კულტურულ სიმბოლოებს, რომლებიც ახლობელი და გასაგებია დამოუკიდებელი და სუვერენული ქვეყნის მოქალაქეებისათვის.

ჯიმშერ რეხვიაშვილი,
„რადიო თავისუფლება“

შრომით, ძიებით, წინსვლით ალსავსე 2024 წელი მობრძანდება!

როგორც იცით, 13 დეკემბერს თბილისის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, თბილისის მერმა, კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ დედაქალაქში საახალწლო დღეები 15 დეკემბრიდან დაიწყება.

მან დედაქალაქის მოსახლეობას ნაძვის ხის ანთების ღონისძიებაზე დასწრებისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ სტუმრებს საინტერესო და მრავალფეროვანი სანახაობა დახვდებათ. ქვეყნის მთავარი ნაძვის ხის ანთების შემდეგ, 16 დეკემბრიდან, ორბელიანის მოედნის მიმდებარედ და დედაენის ბაღში „საახალწლო სოფელი“ გაიხსნება.

დედაქალაქის მერმა თბილისის მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტზეც ისაუბრა. აღინიშნა, რომ **ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ 2023 ᲬᲔᲚᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ, 130 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲗ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ 1 763 354 000 ᲚᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ.**

ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ 31% ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲮᲐᲠᲯᲔᲑᲐ.

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲬᲔᲚᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ/ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚᲘᲐ 507 632 000 ᲚᲐᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐ.

მთავრობის სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ თბილისის მერიის მიერ წარდგენილი კანონპროექტის მიხედვით, რომელიც პარლამენტმა მესამე მოსმენით განიხილა, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე აიკრძალება M3, №2 და №3 კატეგორიების სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა, 08:00-11:00 საათებში და 17:00-20:00 საათის შუალედში.

„თემა ეხება სატრანსპორტო პოლიტიკას, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქალაქისთვის. საზოგადოებამ იცის, თუ რამხელა რეფორმა წამოვიწყეთ 2017 წელს. არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაც განვახორციელეთ: განვაახლეთ საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ავტობუსები და მიკროავტობუსები, ველოდებით 18-მეტრიანი ავტობუსების შემოსვლას, განხორციელდა მეტროს სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც სრულად გამოვცვალეთ ძალოვანი კაბელები, დაგეგმილი გვაქვს ვაგონების მოდერნიზება, განხორციელდა ტაქსების ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმა, შემოვიღეთ ზონალური საათობრივი პარკირების სისტემა და ა.შ. ყოველივე ეს ემსახურება იმას, რომ დედაქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება ხელმისაწვდომი და კომფორტული იყოს. ცხადია, ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენს დედაქალაქში არსებული კერძო ავტოპარკი. დღეს თბილისში 650 000-მდე ავტომობილი გადაადგილდება, რაც ქმნის ე.წ. საცობებს, განსაკუთრებით პიკის საათებში. საცობების წარმოქმნაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის დიდი გაბარიტების მქონე ავტომობილებს, რომლებიც, თავიანთი მოცულობიდან გამომდინარე, ძალიან აფერხებენ მოძრაობას, ასევე, ხდება ავტოსაგზაო შემთხვევები, რაც უდიდეს პრობლემას წარმოადგენს, რადგან საგზაო მოძრაობა პრაქტიკულად დიდი ხნით ჩერდება“, – განაცხადა **ᲞᲐᲮᲐ ᲙᲐᲚᲐᲫᲔ.**

„აღნიშნული მანქანების მოძრაობის აკრძალვა არ მოხდება მთელი ქალაქის მასშტაბით, მოძრაობა აიკრძალება მხოლოდ ქალაქის გარკვეულ ტერიტორიაზე. კერძოდ, იმ მონაკვეთებში, სადაც პიკის საათებში დიდია ნაკადები და გადაადგილება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული“, – აღნიშნა **ᲞᲐᲮᲐ ᲙᲐᲚᲐᲫᲔ.**

მისივე განმარტებით, შეზღუდვა არ იმოქმედებს შაგათს და კვირას, შრომის კოდექსით გათვალისწინებულ უქმე დღეებში, ასევე, აგვისტოში.

„აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იქნება გარკვეული გამონაკლისი შემთხვევები, რაზეც ეს რეგულაცია საერთოდ არ გავრცელდება. ეს საგამონაკლისო შემთხვევები ცხადია დაკავშირებულია აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებებთან, როგორიცაა მაგალითად: საზოგადოებრივი ტრანსპორტი; მუნიციპალური ან სახელმწიფო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისთვის საჭირო ტრანსპორტი; მოსწავლეების და სტუდენტების გადაადგილებისთვის საჭირო ტრანსპორტი; ტურისტული საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ტრანსპორტი და ა.შ.“, – განაცხადა თბილისის **ᲛᲔᲠᲛᲐ.**

აღნიშნული წესების დარღვევისთვის კანონი ითვალისწინებს ჯარიმებს – პირველ შემთხვევაზე, 1 000 ლარის ოდენობით, ხოლო განმეორებით და ყოველ შემდგომ შემთხვევაზე – 3 000 ლარის ოდენობით.

მერის განმარტებით, შეზღუდვა საწყის ეტაპზე გარკვეულ გავლენას იქონიებს ეკონომიკურ სექტორზე, ბიზნესზე. შესაბამისად, შედგა რამდენიმე შეხვედრა ბიზნესასოციაციასთან, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან, სადაც კანონპროექტის დეტალები განიხილეს.

* * *

ᲛᲝᲛᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ თბილისის მერმა დაავალა ვიცემერს, კიდევ ერთხელ განიხილოს აღნიშნული საკითხის დეტალები შესაბამის სექტორთან და საბოლოო, შეჯერებული პოზიცია წარუდგინოს თბილისის საკრებულოს დასამტკიცებლად.

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც ყურადღება გამახვილდა, აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებაზე სანქციების გამკაცრებაა. შესაბამისი კანონი მიმდინარე წლის 14 დეკემბრიდან ამოქმედდა.

თბილისის მერის განცხადებით, ამ დრომდე, ჯარიმის დადგენილი ოდენობები აკუსტიკური ხმაურის გადაჭარბების პრევენციას ვერ უზრუნველყოფდა.

დედაქალაქის მერმა თანამოქალაქეებს მოუწოდა, დაიცვან აღნიშნული კანონი და ერთმანეთს დისკომფორტი არ შეუქმნან.

„გვესმის მიზნესის, რამდენად მნიშვნელოვანია ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობა თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს იმ ადამიანების უფლებები, რომლებზეც დასაშვებ დონეზე მეტად წარმოქმნილი ხმაური უარყოფითად მოქმედებს მათ ჯანმრთელობასა თუ ემოციურ მდგომარეობაზე“, – აღნიშნა კახა კალაძემ.

აღნიშნული კანონის მიხედვით: **ა) აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტება პირველ შემთხვევაში, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 150 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას 1 500 ლარის ოდენობით; მ) იგივე ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, ფიზიკური პირი დაჯარიმდება 500 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირი დაჯარიმდება 5 000 ლარის ოდენობით; გ) მესამედ და შემდგომ ყველა დარღვევაზე, ფიზიკური პირი დაჯარიმდება 1 000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირი 10 000 ლარის ოდენობით.**

* * *

ᲞᲐᲮᲐ ᲙᲐᲚᲐᲫᲘᲡ განცხადებით, ავარიული სახლების ჩანაცვლების პროექტის ფარგლებში დასრულდა სამშენებლო სამუშაოებზე გამოცხადებული ტენდერი დავით გამრეკელის ქუჩის პირველი შესახვევის №6-ში მრავალბინიანი კორპუსის ჩანაცვლების მიზნით.

მისივე თქმით, პროექტს ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო კომპანია „ბი ქეი ქონსთრაქშენი“ განახორციელებს. აღნიშნულ მისამართზე არსებული 4-სართულიანი, ავარიული შენობის ადგილზე ახალი, მრავალბინიანი, 8-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსი აშენდება.

დედაქალაქის მერმა მოქალაქეებს მოუწოდა, აღნიშნული მიმართულებით იაქტიურონ და პროექტში ჩაერთონ. კახა კალაძემ მთავრობის სხდომაზე დარეჯან დედოფლის სასახლის გარე ფასადისა და შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყების შესახებაც ისაუბრა. მისი თქმით, პროექტის განხორციელებას, დაახლოებით, ექვსი თვე დასჭირდება.

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲣᲠᲣᲚᲡ „ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ“ �გᲠᲫᲔᲚᲕᲐᲓᲘᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მერის **ᲞᲐᲮᲐ ᲙᲐᲚᲐᲫᲘᲡ** განცხადებით, მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრში“ მგზავრთნაკადის მოწესრიგებისა და შესვლის პრობლემის აღმოსაფხვრელად მოკლევადიანი პროექტი განხორციელდა, ხოლო მეორე, გრძელვადიანი პროექტი, რომელიც მათ შორის, მეტროს მეორე ამოსასვლელის მოწყობას ითვალისწინებს, 2024 წლის ნოემბერში მზად იქნება.

„მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრში“ იყო დისკომფორტი შესვლასთან დაკავშირებით, რაც მოხსნილია, რადგან დავამონტაჟეთ ახალი, უფრო მეტი ტურნიკეტი და დღეს მეტროში შესვლა პიკის საათებშიც არ წარმოადგენს პრობლემას. რაც შეეხება, მეორე უფრო გრძელვადიან პროექტს, ამასთან დაკავშირებით საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან ვმუშაობთ. აზიის განვითარების ბანკი (ABD) ძალიან გვეხმარება, კვლევები დაწყებულია ამ მიმართულებით, 2024 წლის ნოემბერში უკვე უნდა გვქონდეს ფასები, პროექტები. 5-ეტაპიანი კვლევაა გასაკეთებელი, ორი ეტაპი უკვე დასრულებულია და ნოემბერში გვექნება პროექტი მზად, იმისთვის, რომ გამოვაცხადოთ ტენდერი უშუალოდ სამუშაოებზე“, – განაცხადა კახა კალაძემ. მისივე თქმით, გარდა ამისა, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები მუნიციპალიტეტს მეტროს განახლებაშიც ეხმარება.

„ერთი რამ მინდა ვთქვა, რომ არავის არაფერი გაუკეთებია მეტროში და არც ზოგადად საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმართულებით. დავით ნარმანია იყო პირველი მერი, რომელმაც განახლებული საზოგადოებრივი ტრანსპორტი – 140 ერთეული „მანის“ მარკის ავტობუსები შემოიყვანა. მავნებელ „ნაციონალურ მოძრაობას“ უფლება არ აქვს, ისაუბროს საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, რადგან ესენი არიან ადამიანები, რომელთაც ქალაქს მოჰპარეს, წაართვეს ყველაზე ძვირფასი ტრანსპორტი – ტრამვაი, მოიპარეს ხაზები და ჯართში ჩააბარეს“, – განაცხადა მან.

ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲐ ᲡᲐᲪᲝᲑᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲦᲬᲔᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘᲐ

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ საცობებისა, სახანძრო და სასწრაფო დახმარების მანქანებს გადაადგილების პრობლემა არ ექმნებათ.

„მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში არის საცობები, რთულია გადაადგილება, არც სახანძრო და არც სასწრაფო დახმარების მანქანებს გადაადგილების თვალსაზრისით პრობლემა არ აქვს. საზოგადოებას აქვს იმის კულტურა, რომ როდესაც მსგავსი ეკიპაჟი მოდის, გაატაროს.

„საცობები არის ერთ-ერთი გამოწვევა და ამის მთავარი მიზეზი არის ავტომანქანების გადაჭარბებული რაოდენობა. პიკის საათებში 650 000 ავტომობილი მოძრაობს ქალაქში. ამას დაემატა ავტოსაგზაო შემთხვევები. ვაკე-საბურთალოს მიდამოებში 54 ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. ცხადია, ამ ყველაფერს აქვს გავლენა საგზაო მოძრაობაზე. ერთადერთი გამოსავალი, რაც მოგვცემს შესაძლებლობას, რომ ყველაფერი გამოვასწოროთ, არის ჩვენი სატრანსპორტო პოლიტიკა. ეს არის საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება, ახალი საავტობუსო ზოლები, 18-მეტრიანი ავტობუსები. მესმის, რომ დედაქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების გამოც არის გადაადგილება გართულებული, მაგრამ სხვანაირად ამ პროექტებს ვერ განვახორციელებთ“, – განაცხადა თბილისის მერმა.

მისივე თქმით, ოპოზიცია საცობების თემას პოლიტიკური სპეკულაციებისთვის იყენებს.

„ოპოზიცია აღნიშნული თემით სპეკულირებს. მე ვთქვი, რომ თუ აქვთ რაიმე იდეა, მოიტანონ. მზად ვართ და გავაკეთებთ. ვთქვათ და არასწორ პოლიტიკას ვატარებთ, მსოფლიოში საუკეთესო კომპანიები, ექსპერტები ჩართულები არიან და გვეუბნებიან, რა და როგორ უნდა გაკეთდეს. ეს უბრალოდ პოლიტიკური სპეკულაციაა“, – აღნიშნა კალაძემ.

წინ, წინაპრებისკენ!

ნესტან სულავა:

პუბლიცისტი, რედაქტორი, მეცნიერი, დიდი რუსთველოლოგი

ვიკტორ ნოზაძის რუსთველოლოგიური მოღვაწეობის შესახებ

ვ. ნოზაძე ითვალისწინებდა ანტიკური ფილოსოფიის წარმომადგენელთა – პლატონის, არისტოტელეს, ემპედოკლეს და სხვათა მოძღვრებებს, ჩინურ, ინდურ, ბუდისტურ, ირანულ, სემიტურ, ეგვიპტურ, შუმერულ, ხეთურ მონაცემებს საღვთო სახელთა შესახებ. მოხმობილი აქვს ნეოპლატონიკოსთა სამივე სკოლის, სტოელთა, გნოსტიკოსთა, მანიქეველთა, სუფისტთა შეხედულებანი, ისაუბრა ასტროლოგიის მნიშვნელობაზე. ყოველივე ეს სჭირდებოდა სწორი შეხედულების წარმოსაჩენად სინქრონიულ-დიაქრონიულ ასპექტებში. რუსთველის მუსლიმობის, პაგანურობის, მანიქეველობის, პანთეისტურობისა და სხვა მიმდინარეობათა წარმომადგენლად მიჩნევის შესახებ გამოთქმული შეხედულებანი დასაბუთებულად უარყო და განაცხადა, რომ ამგვარი რამ გამოწვეულია „ვეფხისტყაოსნის“ „გაუგებლობით, ზერელე განხილვითა ანდა სხვა მოსაზრებით“.



უმთავრესი, რასაც ეყრდნობა ვ. ნოზაძე რუსთველის მსოფლმხედველობის განსასაზღვრად და სრულყოფილად საჩვენებლად, ბიბლია და მასზე დაფუძნებული უმდიდრესი საღვთისმეტყველო ლიტერატურაა, რომლის საფუძველზე ახსნა ვეფხისტყაოსნური კატაფატიკურ-აპოფატიკური საღვთო სახელები: ერთი, შემოქმედი, ნათელი, ყოფილი, მყოფი, სახიერი, ცხოველი ღმერთი, ტკბილად მხედი, არსთა მხედი, მაღალი, სავსება, მოწყალე, მფლობელი გულისთქმათა, უფალი უფლებათა, მზიანი ღამე, ერთარსება ერთი, უჟამო ჟამი, უკვდავი, უცნაური, უთქმელი, ყურთაგან მოუსმენელი, უხილავი (ნოზაძე, 1963: 49-127). ასევე, სიღრმისეულადაა განხილული კეთილისა და ბოროტის არსობა-უარსობის პრობლემა დიონისე არეოპაგელის საღვთისმეტყველო შეხედულებათა დამოწმებით (ნოზაძე, 1963: 128-150), რომლის თაობაზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დიონისე არეოპაგელი და პოემაში ორგზის დასახელებული ბრძენი დივნოს//დიონოსი ერთი და იგივე პირია, არეოპაგიტული მოძღვრება „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ წყაროდაა მიჩნეული. რუსთველის პერსონაჟები და დიონისე არეოპაგელი ერთსა და იმავე მოსაზრებას გამოთქვამენ. მასვე დაუკავშირა ცნება „გონებამან დაფარულმან“, რაც მხოლოდ ღმერთისგან შეიძლება იყოს და რის საფუძველიც ახალი აღთქმისეული მოძღვრებაა. ვ. ნოზაძის შეხედულებით, „ვეფხისტყაოსნის“ თეოლოგიური ფილოსოფია არის ქრისტიანული, რომლის მიხედვით არსებობს მხოლოდ ერთი რეალობა: თვითსახიერება, თვითკეთილობა - ღმერთი, დასაბამი კეთილისა, საწყისი სიკეთისა. რადგან „ვეფხისტყაოსნის“ არსი ემყარება მხოლოდ კეთილის არსებობას და არ ცნობს ბოროტს, მეტიც, მის სიმოკლეს გვიჩვენებს, ამიტომ შეუძლებელია „ვეფხისტყაოსანში“ რაიმე დუალისტური შეხედულების აღმოჩენა (ნოზაძე, 1963: 144). მკვლევარმა საღვთისმეტყველო საკითხებს დაუკავშირა შოთა რუსთველის ესთეტიკური თვალთახედვაც, სახელდობრ, მშვენიერების საკითხი ფრაზის „უზადო ჰყოფს, არ აზადებს“ განხილვისას, რომელიც საღვთო სწავლებაზე დაფუძნებულად მიიჩნია.

ვ. ნოზაძის მონოგრაფიაში (ნოზაძე, 1963: 329-464) გაანალიზებულია „ვეფხისტყაოსნის“ ყოველი ის ტაეპი და დეტალი, რომლებიც წარმოაჩენენ რუსთველის შეხედულებებს სიკვდილის შესახებ, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსჯელობა ორგვარი სიკვდილის თაობაზე („მოვკვდები მე სიკვდილითა ორითა“). მასთან კავშირშია განხილული ბოროტ ძალთა, სატანის, ეშმას, მავნის, ღმრთისა მტრისა, ჯოჯოხეთისა და ქვესკნელის შესახებ მსჯელობები, აგრეთვე, აქვე საუბარია „კაცნი გრძნებისა მცოდნენის“, დევებისა და ქაჯების შესახებ, რაც ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ სხვა მეცნიერთა მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტა.

გამოკვლევაში დასმულია საკითხი სულის რაობის, არსის შესახებ და გაშლილია მსჯელობა კითხვის ირგვლივ: რა არის სული? სად მიდის იგი? საკითხის გასარკვევად ვ. ნოზაძემ დაიმოწმა პირველყოფილი საზოგადოების რწმენა-წარმოდგენები, ბაბილონურ-ქალდეური, ინდური, ეგვიპტური, ებრაელთა სწავლანი სულის შესახებ, მოძღვრებები სულის შესახებ ჰომეროსიდან პლატონამდე; პლატონის, არისტოტელეს, პითაგორელთა და ნეოპითაგორელთა, ნეოპლატონიკოსთა, გნოსტიკური, მაზდეანური, მუსლიმური და მის განშტოებათა, მატერიალისტური, პანთეისტური, სუფისტური, და ბოლოს, ქრისტიანული მოძღვრებები. ქრისტიან წმინდა მამათაგან დამუშავებულია კლიმენტ ალექსანდრიელის, ორიგენეს, ირენეოსის, ათანასე დიდის, კაბადოკიელ მამათა, მაქსიმე აღმსარებლის შეხედულებანი; გათვალისწინებულია „ეროსის“ დანტესეული გაგება. ყოველივე ჩამოთვლილის განხილვის საფუძველზე დასკვნა: „სულის უკვდავება იმაში მდგომარეობს, რომ ხორცთაგან სულის გაცილების, გაყრის შემდეგ, სული საიქიოში განაგრძობს არსებობას ვით პიროვნული, თვითშეგნებითი, გონივრულ-ზნეობრივი, რომელსაც ახსოვს თავისი წარსული ცხოვრება. სულის უკვდავება არის სააქაო ცხოვრების საიქიოში გაგრძელება, მაგრამ სხვა სახით და სხვა პირობებში, თავისი თვითშეგნების დაუკარგავად და თავისი პიროვნობის მოუსპობლად ადამიანის პიროვნული არსის განუწყვეტელობა და ერთიგივეობა, – აი, ეს არის უკვდავება, – ქრისტიანული თვალსაზრისით“ (ნოზაძე, 1963: 403). „სულს შეუძლია ღმერთს, ერთს იქ, საუკუნეში შეერთოს, გაუერთიანდეს;... სულს შეუძლია სულთა სირას – რიგს შეუერთდეს იქ, საუკუნეში; კაცის მარადიული სიცოცხლე „მას საუკუნოსა“ არის პიროვნული, თავისი „მეობის“ დაუკარგავად. ყველა ეს რწმენა არის „ქრისტიანული დებულება“ (ნოზაძე, 1963: 410).

ვ. ნოზაძემ შეაჯამა „გამოკითხვის შედეგი“ და დაასკვნა, რომ ქრისტიანული ღმერთი და „ვეფხისტყაოსნის“ ღმერთი ერთი და იგივეა, განსაზღვრულია ქრისტიანული ღმერთის მიმართება ადამიანთან, გამოყოფილია ქრისტიანული ანგელოლოგია, დემონოლოგია და მათი მიმართებანი „ვეფხისტყაოსანთან“. გამოთქმულია მოსაზრებები რენესანსისა და ჰუმანიზმის შესახებ, ამ ტერმინებს//ცნებებს მკვლევარი პირობითად იყენებს ევროპულ კულტურასთან შესადარებლად. ქართული კულტურისათვის საჭიროდ არ მიიჩნია ამ ცნებათა გამოყენება იმგვარი გაგებით, როგორც ეს დასავლური ქვეყნების მეცნიერულ აზროვნებაშია დამკვიდრებული, რადგან, მისი სიტყვით: „საქართველოს კულტურის ისტორიაში არსებითად არც რენესანსი და არც ჰუმანიზმი არ არსებულა, ვინაიდან მას ეს არ ესაჭიროებოდა: ამ ქართულ კულტურას არც კლასიკური ფილოსოფია – თეოლოგიის გზითაც – და არც კაცის ინტერესების ცხოვრების ცენტრში ყოფნა არ მოჰკლებია, ხან სუსტად, ხან ძლიერად, დროთა ვითარების მიხედვით“ (ნოზაძე, 1963: 464-465).

მონოგრაფიის მეოთხე ნაკვეთში „ვეფხისტყაოსნის“ ბიბლიისადმი მიმართების ცალკეული საკითხია აღძრული და განხილული, კერძოდ, ბიბლიური სახელები და ბიბლიური წიგნების ანარეკლი რუსთველის პოემაში, ნათესაური მოსაზრებები და გამოთქმები, რომელთა შესახებ სავსებით რეალურად შენიშნა, რომ „ეს ნარკვევი ბიბლიისა და „ვეფხისტყაოსნის“ ზოგად აზრთა და საერთო შეხედულებათა მსგავსების ამომწურავი იყოს, – მე მას ვრაცხ პირველ ცდად ამ გზით“ (ნოზაძე, 1963: 469). მართლაც, მონოგრაფიის გამოქვეყნების შემდეგ ვ. ნოზაძის მიერ დასმულ საკითხთა უფრო სიღრმისეული კვლევა წარიმართა და სიახლეებიც გამოვლინდა.

მნიშვნელოვანია მონოგრაფიის ის მონაკვეთი, რომელშიც მოცემულია ისლამური კულტურისა და რელიგიის საფუძველთა მოძიება-გაანალიზება, რომელთა შესახებ ეკამათება იმ მეცნიერებს, განსაკუთრებით კი იუსტინე აბულაძეს, რომლებსაც „ვეფხისტყაოსანი“ მუსლიმური სულისკვეთების გამომხატველ ნაწარმოებად მიაჩნდათ. დაკვირვებებმა და ანალიზმა ვ. ნოზაძე საპირისპირო აზრამდე მიიყვანა და განაცხადა: „ვეფხისტყაოსნის“ გარემო და მსოფლმხედველობა მხოლოდ გარეგნულადაა აღმოსავლური კულტურის ნიშნების მატარებელი, პოემაში განვითარებული მოქმედების გეოგრაფიული არეალის წყალობით; ხოლო არსებითად იგი ქრისტიანული მხატვრული ნაწარმოებია და საკუთრივ ქართული სამყაროა წარმოსახული. მონოგრაფიის საბოლოო ზოგადი დასკვნის არსი გამოიხატა „ვეფხისტყაოსნის“ საზოგადოების რაობისა და არსის განსაზღვრით, რომ იგი არის ქრისტიანული, ქართული, პატრონყმური საზოგადოება, დასავლეთ-ევროპული საზოგადოებრივი წყობის მსგავსი და მსოფლმხედველობით – ახლობელი ნათესავი. ქართული კულტურა არის აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა შეთავსებაშერწყმის ნიადაგზე წარმოშობილი და ქართული სულით გაჟღენთილი (ნოზაძე, 1963: 549).

მიუხედავად იმისა, რომ ვ. ნოზაძის მონოგრაფიებს წინააღმდეგობები ხვდებოდა სამეცნიერო სივრცეში, – ერთხანს მისი ხსენებაც არ შეიძლებოდა და მკვლევრები მის შრომებს მინიშნებით ახსენებდნენ, კერძოდ, „ღმრთისმეტყველებაში“ ან „ფერთამეტყველებაში“ წერია, – ვიკტორ ნოზაძის ყოველი დებულება, მოსაზრება „ვეფხისტყაოსნის“ ქრისტიანული მსოფლმხედველობის თაობაზე შემდგომი კვლევების საფუძველზე კიდევ უფრო განმტკიცდა, რამაც ვიკტორ ნოზაძის მონოგრაფიებს მყარი ადგილი მოუპოვა და დაუმკვიდრა რუსთველოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში.

დასასრული. დასაწყისი იხ. №140

ექვსი ქართველი პოეტი ქალის კრებულის „მე ბევრი ვარ“ წარდგენა

საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით მიმდინარე საერთაშორისო ფესტივალზე „ევროპალია-საქართველო“ ქ. გენტში მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული ექვსი ქართველი პოეტის ქალის ლექსების სამენოვანი (ქართული, ფრანგული, ნიდერლანდური) კრებულის – „მე ბევრი ვარ“ – პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენელი ალექსანდრე გრიგალაშვილი, საქართველოს მწერალთა სახლის დირექტორი ქეთევან დუმგაძე, პოეტები ელა გოჩიაშვილი, რუსუდან კაიშაური, ირმა შიოლაშვილი, გამომცემელი რუსუდან მოსიძე, მთარგმნელი ინგრიდ დეხრავე, „ევროპალიის“ წარმომადგენლები და სხვა მიწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

დამსწრე საზოგადოებას ქართველმა პოეტებმა საკუთარი შემოქმედება გააცნეს და აუდიტორიის მოწონება დაიმსახურეს. მათთან ერთად საკუთარ შემოქმედებაზე ისაუბრა ბელგიაში მცხოვრებმა ქართველმა მწერალმა ნატალია მანდარიამ. ღონისძიებაზე ბელგიის თვითმოქმედმა ფოლკლორულმა გუნდმა „მეზობლებმა“ ქართული ფოლკლორის ნიმუშები, მათ შორის – „მრავალჟამიერი“ შეასრულა.

ლექსები ნიდერლანდურ ენაზე თარგმნა ინგრიდ დეხრავემ, ფრანგულად – ბაჩანა ჩაბრაძემ.

როგორც ცნობილია, საქართველოს მთავრობის მხარდაჭერითა და „ევროპალია-საქართველოს“ ეგიდით, მიმდინარე წლის 4 ოქტომბრიდან 2024 წლის თებერვლის ჩათვლით, ბელგიასა და მის მოსაზღვრე ქვეყნებში 60-მდე მასშტაბური და მრავალფეროვანი ღონისძიება იმართება. ევროპის საზოგადოებას ოთხი თვის განმავლობაში შეუძლია ნახოს ეროვნული საგანძურის ორი მასშტაბური და ისტორიული მნიშვნელობის გამოფენა – „ავანგარდი საქართველოში – 1900-1936“ (ბრიუსელის ნატიფი ხელოვნების ცენტრ „ბოზარში“) და „საქართველო – შეხვედრების ადგილი“ (ბრიუსელის ისტორიისა და ხელოვნების სამეფო მუზეუმში). „ევროპალია-საქართველოს“ ფარგლებში გამართულ ღონისძიებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის საერთაშორისო საზოგადოებისთვის წარდგენისა და ევროინტეგრაციის ხელშეწყობისთვის.

სასწორზეა ოქრო, ალმასი და ნავთობი

ვენესუელაში საყოველთაო რეფერენდუმი ჩატარდა. პასუხი მხოლოდ ერთ კითხვაზე იყო გასაცემი: ხართ თუ არა თანახმა, რომ ვენესუელამ მეზობელი ქვეყნის, გაიანას, ტერიტორიის ერთი ნაწილი მიიერთოს. საუბარია ესეკიბოს ტერიტორიაზე. შეგახსენებთ, გაიანა სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარე მცირე ზომის ქვეყანაა, სულ, ერთმილიონიანი მოსახლეობით, რომელიც ვენესუელასა და ბრაზილიას ესაზღვრება.

გაიანას ვენესუელასთან, ესეკიბოს ტერიტორიის გამო, დიდი ხნის დავა აქვს, რომელიც 1899 წელს დაიწყო. მაშინ, ეს რეგიონი ესპანეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, ვენესუელა კი, მის გადაცემას ითხოვდა. პარიზის საარბიტრაჟო სასამართლომ ესეკიბო გაიანის ნაწილად აღიარა, მაგრამ ვენესუელამ სასამართლოს გადაწყვეტილება არ აღიარა. 1966 წელს, ჟენევაში, მოლაპარაკებების შემდეგ, ვენესუელამ და გაიანამ კონფლიქტი მოაგვარეს, მაგრამ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში, როცა ვენესუელას დიქტატორები მართავდნენ, საკითხი ისევ წამოიჭრა. დაძაბულობა უგო ჩავესის დროს შემცირდა, ახლა კი, პრობლემა ისევ გააქტიურდა. საქმე იმაში გახლავთ, რომ ესეკიბო ოქროს და ალმასის საბადოებით მდიდარი რეგიონია. 2015 წელს აქ ნავთობის დიდი საბადოებიც აღმოაჩინეს და ვენესუელას ტერიტორიის ხელში ჩაგდება კიდევ უფრო მეტად მოუნდა.

რეფერენდუმზე, მოსახლეობის ორმა-მესამედმა, ესეკიბოს რეგიონის ანექსია მოითხოვა. შედეგად, ნიკოლას მადურომ ესეკიბო ვენესუელის 24-ე შტატად გამოაცხადა. მან პარლამენტს კონსტიტუციაში შესწორებების შესატანად მიმართა. უცხო ქვეყნის ნავთობკომპანიებს კი, საქმიანობის შესაწყვეტად, სამი თვე მისცა. გაიანას ხელისუფლებამ რეფერენდუმს ანექსიის მცდელობა უწოდა და განაცხადა, რომ თუ ვენესუელა ანექსიისკენ შემდგომ ნაბიჯებს გადადგამს, გაეროს უშიშროების საბჭოს მიმართავს. შეშფოთება სამხრეთ ამერიკის ბევრმა ქვეყანამ გამოთქვა. ბრაზილიამ კი, ვენესუელასა და გაიანას საზღვარზე შეიარაღებული ძალების მობილიზაცია დაიწყო.

ახლა, მთელი მსოფლიო ყურადღებით ადევნებს თვალს, რას მოიმოქმედებს მადურო, დაიწყებს თუ არა სამხედრო კონფლიქტს, მაგრამ ექსპერტთა უმრავლესობა თვლის, რომ, რეალურად, მადუროს ხელს არ აძლევს კონფლიქტი. ამბობენ, რაც ხდება, სხვა არაფერია, თუ არა ერთი დიდი პიარ-სვლაო. და აი, რატომ: ვენესუელა მძიმე პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისშია, ქვეყანა ძლივს უძლებს დასავლეთის სანქციებს, მადუროს რეიტინგი დაეცა, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები კი, კარსაა მომდგარი. რეფერენდუმით, მადურომ რამდენიმე კურდღელი დაიჭირა: ვენესუელის მოსახლეობაში პატრიოტული ინსტინქტი გააღვიძა და მისი ელექტორატი გაამთლიანა. მადუროს არაფერში არ სჭირდება სამხედრო შეტაკება, რადგან, ასეთ შემთხვევაში, ამერიკის მეგობარ ბრაზილიასთან გაუფუჭდება ურთიერთობა. არსებობს საშიშროება, რომ კონფლიქტში თავად ამერიკა ჩაერიოს. გაიანა კი, თავის მხრივ, უკვე აწარმოებს მოლაპარაკებებს შეერთებულ შტატებთან მისთვის მოსალოდნელ ტერიტორიულ საფრთხეებთან დაკავშირებით.

აფრიკა – საჯილდაო ქვა

მსოფლიო ბაზარზე ბატონობისთვის ჭიდილი დასავლეთსა და ჩინეთს შორის დღითიდღე მწვავდება. ბრძოლა ხისტი და მკაცრი საბაზრო კანონების მიხედვით მიმდინარეობს, რომელიც ჩინეთმა ათი წლის წინ დაიწყო გლობალური მასშტაბის პროექტით „ერთი სარტყელი, ერთი გზა“. პროექტი ჩინეთის ინფრასტრუქტურული განვითარების სტრატეგიას ითვალისწინებს, რომელიც 70-ზე მეტ ქვეყანას მოიცავს და აფრიკა-აზიასა და პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკებში დიდ ჩინურ ინვესტიციებს ეყრდნობა. ჩინეთის მზარდი გავლენის საწინააღმდეგოდ, დასავლეთმა თავისი გლობალური ინიციატივები გამოაცხადა, მაგალითად, Global Gateway, რომელიც ევროკავშირმა 2021 წელს დაიწყო. ის ევროკავშირის საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის ნაწილია და ევროპის-მიღმა ინფრასტრუქტურებისა და მწვანე ენერგეტიკის დარგში მსხვილ ინვესტიციებს ითვალისწინებს. პროექტის მიხედვით, ევროკავშირი აფრიკულ პროექტებში 300 მილიარდი ევროს ოდენობის თანხას ჩადებს. რატომ აფრიკა?

აფრიკის კონტინენტი მდიდარია წიაღისეულით, მათ შორის, ლითიუმით, ურანით, კობალტითა და სპილენძით, რაც თანამედროვე ტექნოლოგიათა წარმოებისთვისაა საჭირო. მიუხედავად ამისა, აფრიკის ქვეყნების უმრავლესობამ ჯერ-კიდევ ვერ დააღწია თავი უკიდურეს სიღარიბეს. სწორედ ამიტომ იქცა აფრიკის კონტინენტი ჩინურ-დასავლური სავაჭრო-ეკონომიკური შეჯიბრის არეალად. უკრაინის ომმა და ჩინურ-დასავლურმა პაექრობამ მსოფლიოში აღნიშნული წიაღისეულის დეფიციტი გამოიწვია. დასავლეთი მიხვდა, რომ მხოლოდ ლიბერალური იდეების ექსპორტით შორს ვერ წავა და, გლობალური სამხრეთის მოსახიბლად, დიპლომატია და ინიციატივები გააქტიურა. ერთ-ერთი ასეთ ინიციატივაა, აფრიკის კონტინენტის ლობიტოს დერეფნის განვითარებაში ინვესტიციის განხორციელება.

ლობიტოს დერეფანი 1900-კილომეტრიანი რკინიგზაა, რომელიც ერთმანეთთან სამ აფრიკულ ქვეყანას, ანგოლას, კონგოსა და ზამბიას აკავშირებს. ლობიტო ანგოლის დიდი საპორტო ქალაქია, რომელიც ატლანტის ოკეანის სანაპიროზე მდებარეობს. რკინიგზა 1920 წელს პორტუგალიელმა და ბელგიელმა კოლონიზატორებმა ააშენეს, რომლის მთავარი ფუნქცია კონგოს საბადოებიდან სპილენძის გადაზიდვა იყო. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში, რეგიონში არსებული მრავალი სამხედრო კონფლიქტის გამო, ეს გზა აღარ მუშაობდა. ახლა, ამერიკასა და ევროპას ამ გზის აღდგენა და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა სურს. თვე-ნახევრის, წინ Global Gateway-ის ბოლო ფორუმზე, ევროკავშირმა აფრიკის ამ ქვეყნებთან ხელი მოაწერა პროექტის სარეალიზაციო ხელშეკრულებას, და შეთანხმებას აფრიკის განვითარების ბანკთან და აფრიკის ფინანსურ კორპორაციასთან.

მანამდე, მსგავს ხელშეკრულებებს, ამერიკის მთავრობასა და ანგოლის, კონგოსა და ზამბიის შესაბამის სამსახურებს შორის მოეწერა ხელი. მიმდინარე წლის სექტემბრის დიდი ოცეულის შეხვედრაზე, ჩინეთის მსოფლიო ბაზარზე ბატონობის წინააღმდეგ, ევროკავშირმა, ამერიკამ და ინდოეთმა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება გადაწყვიტა. ლობიტოს დერეფნის განვითარების გარდა, აფრიკის ამ სამ ქვეყანაში, წიაღისეულის მოპოვების სექტორში, დასავლეთს დიდი ინვესტიციების განხორციელება სურს. ასე მოხდება ტექნიკის მოდერნიზაცია და მუშათა კლასის პირობების გაუმჯობესება. დასავლეთის საინვესტიციო ინიციატივებით აფრიკის სხვა ქვეყნებიც დაინტერესდნენ, მაგალითად, ნამიბია და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა. აფრიკაში სუსტადაა განვითარებული რკინიგზის ინფრასტრუქტურა.

სარკინიგზო გადაზიდვა კი, უფრო ჩქარია და იაფი. სწორედ, ამიტომ დაინტერესდა ეს ქვეყნები, რომ ლობიტოს დერეფანს შეუერთდეს. ევროკავშირმა მზაობა გამოთქვა მის გაფართოებაზე. დერეფნის განვითარებით, დასავლეთი პოლიტიკურ დივიდენდებსაც მიიღებს. აფრიკის ქვეყნები, ზოგადად, უკმაყოფილოა მათ მიმართ დასავლეთის პოლიტიკით, მიაჩნიათ რა, რომ დასავლეთმა კოლონიალიზმის პერიოდში მთლიანად გამოშიგნა აფრიკა და შემდეგ, ბედის ანაბარა მიატოვა. ამ ინიციატივითა და მსგავსი პროექტებით, ახლა, დასავლეთი ცდილობს, აფრიკის კონტინენტის მოსახლეობას დასავლეთის მიმართ აზრი და განწყობა შეაცვლევინოს.

მობილური – აკრძალული ხილი?

საკითხი ასე დადგა ამერიკაში: აიკრძალოს თუ არა სკოლაში მობილური ტელეფონის ტარება. პრობლემა აწუხებს მშობლებს და აინტერესებს მასმედიას. კვლევამ აჩვენა, მოსწავლე, რომელიც სკოლაში მობილურის გარეშე დადის, უფრო ყურადღებიანია და უკეთესადაც სწავლობს.

მიუხდავად ამისა, ზოგი მშობელი ითხოვს, ბავშვმა ტელეფონი ატაროს, რომ უკეთესად გააკონტროლოს და დაიცვას შვილი. მაგრამ პატარები, მობილურით ხელში, ყველაფერს აკეთებენ, გარდა სწავლისა. ინტერნეტის უსაფრთხოების სპეციალისტებმა განაცხადეს, რომ ეს პრობლემა, სხვა თავის-ტკივილებთან შედარებით, დიდი არაფერია, რადგან ინტერნეტი ახალგაზრდობისთვის საშიშ საინფორმაციო ჯუნგლებად იქცა და თუ როგორმე არ გაკონტროლდა, რა ინფორმაციას ეძიებენ და მოიპოვებენ მოზარდები ინტერნეტში, საქმე ცუდად დამთავრდება.

ექსპერტები ამბობენ, რომ დამცავი პროგრამების მეშვეობით, ბავშვებისთვის, უნდა დაიბლოკოს ინტერნეტში ფართოდ გავრცელებული პორნო და პედოფილური საიტები, თუმცა, ასეთი ხერხით მთლიანად მაინც ვერ აღვკვეთთ ინტერნეტის არასასურველ გამოყენებას. სახიფათო ინფორმაცია, სარეკლამო ბანერების გამოყენებით, შეიძლება, გავრცელდეს ფეისბუქსა და ინსტაგრამში.

საქმე იქამდე მივიდა, რომ მდგომარეობით შეწუხებულმა პოლიტიკოსებმა კომპანია, „მეტას“ წარმომადგენლები, ფეისბუკისა და ინსტაგრამის მფლობელები, ამერიკის კონგრესში დაიბარეს და პირობა დააღებინეს, რომ ყველაფერს გააკეთებდნენ ინტერნეტში ასეთი მასალის დაბლოკვისთვის, მაგრამ სოცმედიით მაინც გაგრძელდა აკრძალული ფოტოებისა და ვიდეოს გავრცელება. დაბლოკვა, ფაქტობრივად, შეუძლებელი აღმოჩნდა. სოცმედიები ისევ თავისას განაგრძობენ, თან, კიდევ უფრო ინტენსიურად.

სწორედ, ასე მოხდა ვუაიერიზმის, ეგზიბიციონიზმისა და სხვა სექსუალურ გადახრათა აღვირახსნილი პოპულარიზაცია. მთელი ინსტაგრამი გოგოგიჟების ნახევრად-შიშვლად გადაღებული, გამომწვევი სურათებითაა აჭრელებული, რისიც, მათ სულაც არ რცხვენიათ. მთავარია, ბევრი ნახვა ჰქონდეთ.

ცნობილი ინგლისელი ლიტერატორის, ფემინისტისა და შეშფოთებული დედის, მერი ჰარინგტონის აზრით, სოცმედიები მომხმარებელს გონებრივი სიღატაკისა და ფიზიკური სიშიშვლისკენ უბიძგებენ, ვითომ, ამით ახალგაზრდებს თავის გამოჩენის საშუალებას აძლევენ, მაგრამ თუ მათი წარმატების საწინდარი მართლა საჯაროდ გაშიშვლება გახდა, როგორც ჩანს, უფსკრულისკენ მივექანებით.

ნუგზარ ბ. რუხაძე
POSTV

ჯო ბაიდენს იმპიჩმენტი ელოდება...



აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ პრეზიდენტ ჯო ბაიდენის საიმპიჩმენტო გამოძიების ოფიციალურად დაწყებას მხარი დაუჭირა. წარმომადგენელთა პალატამ, რომლის უმრავლესობას რესპუბლიკელები წარმოადგენენ, გამოძიების დაწყების შესახებ რეზოლუცია 221 ხმით 212 წინააღმდეგ დაამტკიცა.

რესპუბლიკელები აცხადებენ, რომ რეზოლუცია მათ მეტ უფლებამოსილებას მისცემს მტკიცებულებების შეგროვებისა და სამართლებრივი მოთხოვნების აღსრულებისთვის. წარმომადგენელთა პალატის რესპუბლიკელები დემოკრატ პრეზიდენტს და მის ოჯახს ადანაშაულებენ არამართლზომიერი შემოსავლის მიღებაში პოლიტიკური გადაწყვეტილებებიდან, რომლებშიც ბაიდენი, როგორც ვიცე-პრეზიდენტი, მონაწილეობდა ობამას ადმინისტრაციის დროს. ასევე, ედავებიან იუსტიციის დეპარტამენტს ბაიდენის შვილის ჰანთერ ბაიდენის საქმის გამოძიებაში ჩარევაში.

ტრამპის საქმე სასამართლომ დროებით შეაჩერა

ამერიკელმა მოსამართლემ შეაჩერა ფედერალური საქმე, რომლის ფარგლებშიც დონალდ ტრამპს 2020 წლის არჩევნების შედეგების უკანონოდ გაუქმების მცდელობას ედავებიან, ვიდრე ყოფილი პრეზიდენტი იმუნიტეტთან დაკავშირებულ საკითხს ასაჩივრებს.

აშშ-ის საოლქო მოსამართლემ ტანია ჩუტკანმა განაცხადა, რომ ტრამპის მიმდინარე მიმართვა დროებით აჩერებს ყველა აქტივობას, რომელიც საქმეს სასამართლო პროცესზე გადაიყვანს, რომლის ჩატარებაც დაგეგმილია 2024 წლის მარტში. როგორც მედია წერს, ტრამპი ასაჩივრებს ჩუტკანის იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მოსამართლემ თვის დასაწყისში საპრეზიდენტო იმუნიტეტთან დაკავშირებით მიიღო.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ვიტალი ქათამაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის თანამესაკუთრე: ვიტალი ქათამაძე (პ/ნ 61006056680), წალკა, ს. ხარება, პირველი ქუჩა №58

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
წალკა, ს. ხარება, პირველი ქუჩა №58 (საკადასტრო კოდი: 85.19.25.199 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search)

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 12238.54 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 13 დეკემბერი, 14:00 საათი.

4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2023 წლის 27 დეკემბერი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP94886523; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 948865

6. **მოვალე:** ხათუნა კახაძე (პ/ნ 61009027122), წალკა, ს. ხარება, პირველი ქუჩა №58; ვიტალი ქათამაძე (პ/ნ 61006056680), წალკა, ს. ხარება, პირველი ქუჩა №58

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP94886523; ლოტის ნომერი: 948865).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 27 დეკემბრის 12:00 საათამდე.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ინგა სვანიძის, მედეია სვანიძის, დავით სვანიძის და მერი სვანიძის თანასაკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის თანამესაკუთრე: ინგა სვანიძე (პ/ნ 53001005992), მედეია სვანიძე (პ/ნ 53001014971), დავით სვანიძე (პ/ნ 53001017212), მერი სვანიძე (პ/ნ 53001027747), წყალტუბო, სოფელი ზარათი, მე-2 ქუჩის I ჩიხი №4

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
წყალტუბო, სოფელი ზარათი, მე-2 ქუჩის I ჩიხი №4 (საკადასტრო კოდი: 29.06.31.191)

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 27697.11 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 13 დეკემბერი, 14:00 საათი.

4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2023 წლის 27 დეკემბერი, 14:15 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP94886623; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 948866

6. **მოვალე:** ლია ხრისტოდულუ (პ/ნ 60001013186), ქუთაისი, ირაკლი ჯანელიძის 35.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP94886623; ლოტის ნომერი: 948866).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 27 დეკემბრის 12:00 საათამდე.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს არარატ ხოდერიანის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: არარატ ხოდერიანი (პ/ნ 47001007838), ახალციხე, ბორჯომის ქ. №39, ბინა №5

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ახალციხე, დ. აღმაშენებლის ქ. №39, სართული 2 (საკადასტრო კოდი: 62.09.04.003?.01.504 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 28336.02 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 13 დეკემბერი, 14:00 საათი.

4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2023 წლის 27 დეკემბერი, 14:30 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP94886723; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 948867

6. **მოვალე:** არარატ ხოდერიანი (პ/ნ 47001007838), ახალციხე, ბორჯომის ქ. №39, ბინა №5;
არტურ ხოდერიანი (პ/ნ 47001044293), ახალციხე, ბორჯომის ქ. №39, ბინა №5

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP94886723; ლოტის ნომერი: 948867).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 27 დეკემბრის 12:00 საათამდე.

ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“
განცხადება

საქართველოს მთავრობის ენერგეტიკული პოლიტიკის ფარგლებში, ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში: „სსე“) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხარდაჭერით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის (KFW) თანადაფინანსებით, გურიის რეგიონში ახორციელებს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 მარტის 1-1/108 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმით“ გათვალისწინებულ 220/110 კვ. ,,ოზურგეთი-ზოტი ჰესის“ ორჯაჭვიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას (შემდეგში: „220/110 კვ ეგხ ,,ოზურგეთი-ზოტი ჰესის“ მშენებლობის პროექტი“).

ეგხ „ოზურგეთი-ზოტი ჰესი“-ის მშენებლობის პროექტის არეალში მოექცა მოქალაქე თათია ბებუას (პ/ნ 01005015449) საკუთრებაში არსებული, მიწის ნაკვეთის ნაწილი, კერძოდ:

1. 800765.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ 26.33.13.101) ნაწილი - 468.00 კვ.მ;

მესაკუთრეს ოფიციალურ მისამართზე გაეგზავნა 2023 წლის 20 ოქტომბრის 6777/09 წერილი, რომელშიც განმარტებული იყო განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობა, ასევე,

კომპენსაციის გაანგარიშების მეთოდოლოგია, ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ 220/110 კვ. ეგხ „ოზურგეთი-ზოტი ჰესისთვის“ დადგენილი უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით სხვა ოპტიმალური ადგილმდებარეობა არ არსებობს და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული მიწის ნაკვეთების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულების - 1 076.40 (ათას სამოცდათექვსმეტი ლარი და 40 თეთრი) ლარის ანაზღაურების პირობით.

წინამდებარე პუბლიკაციით, სსე კიდევ ერთხელ სთავაზობს მესაკუთრე თათია ბებუას „განსახლების სამოქმედო გეგმა“-ით განსაზღვრული, 468.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთების გამოსყიდვის სანაცვლოდ მიწის ნაკვეთების ჯამური საბაზრო ღირებულების (1 076.40 (ათას სამოცდათექვსმეტი ლარი და 40 თეთრი) ლარი) ანაზღაურებას, ხოლო შეუთანხმებლობის შეთხვევაში, სსე უფლებას იტოვებს იმოქმედოს „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

◎ 64 უჯრა

საანგარიშო მოხსენებით

გაიმართა ჭადრაკის ფედერაციის ყრილობა, რომლის დღის წესრიგის მთავარი თემა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წესდებით გათვალისწინებული ფედერაციის პრეზიდენტის 2023 წლის საანგარიშო მოხსენება გახლდათ.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა **აკაკი იაშვილმა** ვრცლად ისაუბრა, 2023 წლის განმავლობაში გაწეულ სამუშაოზე, განხორციელებულ პროექტებსა და მომავალ გეგმებზე.

ყრილობის მონაწილე დელეგატთა შორის იყვნენ: მსოფლიო ჭადრაკის ლეგენდა ნონა გაფრინდაშვილი, 2015 და 2023 წლების მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის გამარჯვებულები: ბელა ხოტენაშვილი და ლელა ჯავახიშვილი, 2008 წლის საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული მაია ლომინეიშვილი,საქართველოს ნაკრების წევრები და მწვრთნელები, ფედერაციის გამგეობის წევრები; რეგიონალურ ფედერაციათა წარმომადგენლები და ა.შ. დამსწრეებმა, ფედერაციის მუშაობა წარმატებულად შეაფასეს.

◎ ოვალური ბურთი

ტრავმები მოგვეძალა

„შავი ლომი“ უელსში ჩაფრინდა, სადაც ჩელენჯ თასის მეორე ტურში ადგილობრივ „სქარლეთს“ ერკინება.

შეხვედრა ჰლანეჰლიში დღეს 23:55 საათზე Parc y Scarlets-ზე დაიწყება.

9 დეკემბერს „მიხეილ მესხზე“ ინგლისურ „გლოსთერთან“ გადატანილი მძიმე მატჩის შემდეგ ჩვენს გუნდში დანაკლისია. დაშავდნენ და მომავალ თამაშს ტოვებენ შუამარბი გიორგი კვესელაძე, მესამეხაზელი ილია სპანდერაშვილი და მეორეხაზელი მიხეილ ბაბუნაშვილი. მგზავრობის შემდეგ მორაგბეებმა დაისვენეს და მსუბუქად ივარჯიშეს.

◎ ცეცხლის ხაზზე

ბრინჯაო შაშხანით

არაგთა გაერთიანებული საამიროების ქალაქ ალ-აინში მიმდინარე მსოფლიო თასის გათამაშებაზე პარა სროლაში ლადო ჯინჭარაული ბრინჯაოს მედლის მფლობელია.

ალ-აინი 2023-ის მიმდინარე ტურნირზე, პნევმატური შაშხანიდან სროლაში R4 კლასში მონაწილე 18 ქვეყნის პარამსროლელს შორის, ჩვენი პარასპორტსმენი მესამე ადგილზე გავიდა.

ქართველი პარამსროლელები ტურნირზე გამოსვლას აგრძელებენ. ჭინჭარაული ხვალ 50 მეტრ დისტანციაზე R9-ში იასპარეზებს.

აღნიშნულ შეჯიბრზე, დღეს ჩაერთვება დებიუტანტი გიორგი შეყილაძე, რომელიც ISAF-ის მისიაში დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეა. ქართველი სპორტსმენი საპრიზო ადგილის მოპოვებას პისტოლეტიდან სროლაში შეეცდება.

◎ დაბრუნება

არველაძე თურქეთშია

შოთა არველაძე „კარაგუმრუქის“ მთავარ მწვრთნელად დანიშვნას სოციალურ ქსელში წერილით გამოეხმაურა.

როგორც მან თქვა, მოხარულია, რომ სამწვრთნელო საქმიანობას დაუბრუნდა:

„მიხარია, რომ სამწვრთნელო საქმეს იმ გუნდში დავუბრუნდი, რომელიც ჩემთვის კარგად ნაცნობია და ვიცი, რისი მიღწევა სურს. მინდა მადლობა ვუთხრა კარაგუმრუქის პრეზიდენტს, სულეიმან ჰურმას ნდობისთვის და რთულ მომენტში ამ გადაწყვეტილების მიღებისთვის. ამ კლუბმა უკანასკნელ 3-4 წელიწადში დიდი გზა გაიარა თურქეთის სუპერლიგამდე და დარწმუნებული ვარ, ერთიანი ძალებით მას კიდევ უფრო წარმატებულს გავხდით. გუნდთან ერთად პირველი ვარჯიში უკვე ჩავატარე და ვემზადებით უახლოესი მატჩისთვის. ველოდები გულშემატკივართან შეხვედრას და იმედი მაქვს, მათ გახარებას მოვახერხებთ“, – დაწერა არველაძემ სოციალურ ქსელში.

„კარაგუმრუქი“ თურქეთის სუპერლიგაში 17 ქულით მე-13 ადგილზეა, არველაძის დებიუტი კი როდის შედგება უცნობია, რადგან თურქეთის ჩემპიონატი გაურკვეველი ვადით შეჩერებულია მსაჯის ცემისა და ვანდალების დაპატიმრების გამო.

◎ გამოიცა

კვარადონას საღიდებელი

ლაშა გოდუაძემ, რომელიც საფეხბურთო თემაზე რამდენიმე წიგნის ავტორია, სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ პოსტში **ხვიჩა კვარაცხელიასადმი** მიძღვნილი წიგნის, „კვარადონას“ პრეზენტაციაზე ისაუბრა.

„ჩემი ბოლო წიგნი „კვარადონა“ იტალიაში ხვიჩა კვარაცხელიას სადებიუტო სეზონზეა, რომელიც, ჩვენდა გასახარად, არნახულად დასრულდა – ქართული ფეხბურთის იმედი სერია A-ს ჩემპიონი გახდა, იტალიის სეზონის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს, უეფა-მ კი ჩემპიონთა ლიგის რჩეულ ახალგაზრდად დაასახელა.

ხვიჩას პირველი ნეაპოლური თამაშიდან დაწყებული – შარშან, 15 აგვისტოს, ვერონაში – პატარა ჩანახატებს ვაკეთებდი და ამ წიგნში სწორედ ის ჩანაწერებია თავმოყრილი. ამასთანავე, ის ტექსტიც, ხვიჩას იტალიაში გადასვლამდე რომ დავწერე, როცა ის ჯერ კიდევ რუსეთში თამაშობდა და ათასობით გულშემატკივარს ერთი სული გვქონდა, როდის გაეცლებოდა იქაურობას. წიგნში შესულია ფეხბურთის სახელოვანი სპეციალისტების (გარი ლინეკერი, რაფაელ გენიტესი, მარკო ვან გასტენი, ფაბიო კაპელო და სხვები) კომენტარები, რომლებიც ტრიუმფალური სეზონის მსვლელობის დროს ხშირად მხვდებოდა ხვიჩას თამაშების შემდეგ და რომლებსაც ცალკე ვინახავდი.

ფოტოების ნახევარი ჩემი გადაღებულია, როცა ნეაპოლში ვიმოგზაურე. ამას გარდა, ტექსტები იტალიური ჟურნალ-გაზეთების იმ გვერდებით და ფოტოკოლაჟებით გავაფორმე, სადაც ხვიჩა მხოლოდ აღმატებით ხარისხშია მოხსენიებული. ასეთებიც ათეულობით იყო. მსურდა, ფეხბურთის მოყვარულებს წიგნის სახით დაგვრჩენოდა ის გემრიელი მოგონებები, რომლებიც 2022-2023 წლების „ნაპოლის“ ცქერაში ბლომად დაგვიგროვდა.

აქვე, ჩემს აზრსაც გაგანდობთ. მგონია, რომ ქართული ფეხბურთის ისტორიაში, საბჭოთა წლების ჩათვლით, ხვიჩა კვარაცხელიამდე არავის ჩაუტარებია ერთი კონკრეტული სეზონი ასე მაღალ დონეზე. „კვარადონა“, რომლის რედაქტორიც თენგიზ პაჭკორია გახლავთ, ორენოვანი გამოცემაა. ჩანახატები იტალიურად ჟურნალისტმა სალომე ხარატიშვილმა თარგმნა, იტალიური ტექსტის რედაქტორი კი სიმონე მელონია. მადლობა მათ თანამშრომლობისთვის და მსურს, მადლიერების გრძნობით მოვიხსენიო კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროც, რომლის მხარდაჭერითაც გამოიცა ეს წიგნი.

მადლობა პრეზენტაციის მასპინძელსაც – ფანების ბარს, ასევე ჩემს კოლეგებს, მეგობრებს, სამინისტროს და ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებს, ყველა სტუმარს, რომლებმაც გამონახეს დრო და მეწვივნენ. სიამაყით დავწერ იმაზეც, რომ წიგნის ყდაზე ჩემი შვილის ნახატია. ვთხოვე, ეცადა და, მგონი, ურიგოდ არ გამოუვიდა. იმ ბიჭს კი, ვისაც ეს გამოცემა ეძღვნება, უფრო დიდ გამარჯვებებს, აღიარებებს და ზაფხულში ევროპის ჩემპიონატზე თამაშს ვუსურვებ! ის, რაც მან გასულ სეზონში მოახერხა, როცა ლამის მთელი საქართველო დღეებს და საათებს ვითვლიდით მისი ჯადოქრობების მოლოდინში, პირადად მე პირველად ვნახე“, – წერს ლაშა გოდუაძე.

◎ ჩემპიონთა ლიგა

ორშაბათს წილისყრაა

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი დასრულდა. სხვათა შორის, როგორც ასეთი, ჯგუფური ეტაპი ბოლოჯერ ჩატარდა ჩემპიონთა ლიგაზე, ყოველ შემთხვევაში, თუ ფორმატს თავიდან არ შეცვლიან.

მოგეხსენებათ, მომდევნო სეზონიდან ჩემპიონთა ლიგაზე 4-ით გაიზრდება მონაწილე გუნდების რაოდენობა და ისინი შვეიცარიული სისტემით იასპარეზებენ, შესაბამისად, აღარ იარსებებს ჯგუფური ეტაპი. თითოეული გუნდი 8-8 შეხვედრას ჩაატარებს საწყის ეტაპზე (4 შინ, 4 სტუმრად). წინასწარ კალენდარი არ იქნება ცნობილი, რადგან მოგებული გუნდები მოგებულებს და წაგებულები წაგებულებს შეხვდებიან.

8 ტურის შემდეგ საერთო სატურნირო ცხრილში საწყის 8 ადგილზე გასული გუნდები პირდაპირ გავლენ მერვედფინალში, ხოლო დანარჩენები პლეი-ოფში ითამაშებენ და მერვედფინალის საგზურისთვის იბრძოლებენ. სხვათა შორის, მერვედფინალიდან ფორმატი იგივე იქნება, რაც ამჟამად არის, არანაირი ცვლილება არ არის შეტანილი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მომდევნო სეზონში მეშვიდე და მერვე ტური იანვარში გაიმართება. მოგეხსენებათ, იანვარში ჩემპიონთა ლიგის მატჩები აქამდე არ ტარდებოდა. მოკლედ, დამდეგი სეზონიდან ბევრი სიახლე იქნება. იქამდე კი, გაირკვა მიმდინარე სეზონის ყველა მერვედფინალისტი, სადაც პირველადგილოსნები მეორეადგილოსნებთან გაარკვევენ ურთიერთობას. წილისყრაზე ორი შეზღუდვაა: ერთ ჯგუფში მყოფი გუნდები და ერთი ქვეყნის წარმომადგენლები ერთმანეთს ვერ შეხვდებიან.

I ადგილობანები

გაიერნი (გერმანია), არსენალი (ინგლისი), რეალი (ესპანეთი), სოსიედადი (ესპანეთი), ატლეტიკო (ესპანეთი), დორტმუნდი (გერმანია), მანჩესტერ სიტი (ინგლისი), ბარსელონა (ესპანეთი).

II ადგილობანები

პოვენჰაგენი (დანია), პსვ ეინდჰოვენი (ნიდერლანდები), ნაპოლი (იტალია), ინტერი (იტალია), ლაციო (იტალია), პარი სენ-ჟერმენი (საფრანგეთი), ლაიფციგი (გერმანია), პორტუ (პორტუგალია).

ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის პირველი მატჩები 13-14 და 20-21 თებერვალს, ხოლო საპასუხო შეხვედრები 5-6 და 12-13 მარტს გაიმართება. რაც შეეხება წილისყრას, 18 დეკემბერს, თბილისის დროით 15 საათზე ჩატარდება.

◎ უნიკალური პროექტი

მფრინავი ადამიანი

ამერიკელმა სპორტსმენმა ბრაიან გრუბმა, რომელიც ორგზის მსოფლიო ჩემპიონია ვეიკსკეიტინგში, დაუჯერებელი პროექტი განახორციელა: მსოფლიოში პირველად გააერთიანა ვეიკსკეიტინგი (Wakeskating) დრონის გამოყენებით და პარაშუტით ხტომა (BASE jumping).

ეს გასაოცარი ტრიუკი პანორამულ აუზში შესრულდა, რომელიც დუბაიში, Address Beach Resort-ის სახურავზე, 294 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს და როგორც მსოფლიოში ყველაზე მაღალი პანორამული აუზი, გინესის რეკორდების წიგნშია შესული.

თავდაპირველად სპორტსმენმა დრონის დახმარებით 77-ე სართულზე განთავსებული აუზის ზედაპირზე 94 მეტრი ისრიალა, შემდეგ ტრამპლინზე ავიდა და პარაშუტით ძირს წარმატებულად დაეშვა.

ეს უნიკალური ტრიუკი ექსტრემალური სპორტის ისტორიაში WakeBase სახელით შევიდა, მისი განხორციელება სპორტსმენმა 7 წლის წინ ჩაიფიქრა.

სულთათანა

მან აღასრულა თავისი ვალი!



97 წლის ასაკში გარდაიცვალა ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს მეფუტკრეთა კავშირის გამგეობის საპატიო წევრი, რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი, სწავლული მეფუტკრე ალექსანდრე გვარამაძე.

ალექსანდრე გვარამაძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის მესხეთ-ჯავახეთში კულტურული მეფუტკრეობის განვითარებაში. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ამ დარგის რაციონალურ ნიადაგზე დაყენებას შეალია. მან პირველმა იკისრა რეგიონში მეფუტკრეობაში სიახლეთა პროპაგანდა, ძველი ჩვევების უკუგდება და სხვა მრავალი.

ყოველივე ეს დიდ შრომას და ცოდნას მოითხოვდა. მან რეგიონში შექმნა მეფუტკრეობის საუნივერსიტეტო ფილიალი, სადაც მეფუტკრეობას ეუფლებოდა ათეულობით ახალგაზრდა.

ვისაც კი შეხება ჰქონია მეფუტკრეობასთან, ყველა იცნობდა მას, როგორც ერუდირებულ, მრავალმხრივი ცოდნის მქონე დიდსულოვან, სიკეთით და ქველმოქმედების ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს. რა საკითხებზეც უნდა ჰქონოდა კაცს, მასთან შეხება, მოსაუბრე გრძნობდა მაღალ პროფესიონალიზმსა და ერუდიციას, რითაც ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ალექსანდრე გვარამაძემ მშვენივრად გამოიყენა არსებული ლიტერატურული წყაროები, დაუკავშირა ისინი საქართველოს პირობებს და პოპულარული, ლამაზი და ყველასათვის მისაწვდომი ენით დაწერა წიგნი მეფუტკრეობაზე, რომელშიც იგრძნობა დარგისადმი მისი უსაზღვრო სიყვარული და თავდადება. ალექსანდრე გვარამაძე იყო ჟურნალ „საქართველოს მეფუტკრეობის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, სადაც 1997 წლიდან მოყოლებული, გარდაცვალებამდე რეგულარულად აქვეყნებდა საინტერესო და სასარგებლო სტატიებს, რითაც დიდ პროპაგანდას უწევდა მეფუტკრეობაში პროგრესული მეთოდების დანერგვას.

ბატონმა ალექსანდრე გვარამაძემ მესხეთ-ჯავახეთის მხარეში დამსახურებულად დაიმკვიდრა მეფუტკრეობის აღმამშენებლის სახელი.

ალექსანდრე გვარამაძის სახელი, ღვაწლი მუდამ ნათელით იქნება მოსილი!

რამაზ თავართქილაძე,
საქართველოს მეფუტკრეთა კავშირის პრეზიდენტი.

გუდუ მურუსიძე,
მეფუტკრეთა კავშირის გამგეობის წევრი, ჟურნალ „საქართველოს მეფუტკრეობის“ მთავარი რედაქტორი,

ლიზა ბალიაშვილი,
მეფუტკრეთა კავშირის გამგეობის წევრი.

სულთათანა

როცა ალალი ცრემლის ღირსი ხარ

ზურა ქარუმიძე

ჩვენს საზოგადოებას გამოაკლდა შესანიშნავი პიროვნება, ჩვენი დროის ერთ-ერთი ბრწყინვალე პუბლიცისტი, ლიტერატურული კონკურსის „საბას“ ლაურეატი, მწერალი, ჟურნალისტი, არაჩვეულებრივი მოქალაქე და მეგობარი ზურაბ ქარუმიძე.

ვუსამძიმრებთ მის მეუღლეს ნინა ჯეჯელავას, ვაჟიშვილს ლევანს. მათ ყველაფერი გააკეთეს, რათა შებრძოლებოდნენ ამ ვერაგ, უკურნებელ დაავადებას.

ზურაბის პუბლიცისტურ და საქმისადმი დაუღალავ შრომის უნარს ალბათ მისი კოლეგები შეაფასებენ, ჩვენ კი ვიტყვით, რომ წავიდა სულეთში არაჩვეულებრივი მეუღლე, შესანიშნავი მამა, ნაღდი ქალაქელი კაცი, მეგობრების მოსიყვარულე და უაღრესად ყურადღებიანი ადამიანი, რომლის სითბოსა და სიყვარულს, კაცთმოყვარეობას ყოველთვის ვგრძნობდით. წავიდა ჩვენგან ოჯახზე, საახლობლოზე, საქართველოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი, რომელიც ძალიან დაგვაკლდება.

ნათელში იყოს მისი ხსოვნა.

ოჯახის მეგობრების სახელით

მალხაზ დოლიძე,
დოდო კეზელი,
ნიკოლოზ გაჩეჩილაძე,
მეგი ბარამიძე,
ინგა გაბუნია,
გურამ მჭედლიშვილი.

წმინდა დიდმოწამე ბარბარე

17 დეკემბერს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს წმინდა დიდმოწამე ბარბარეს ხსენებას.

...წმინდა დიდმოწამე ბარბარე, ადრე დაქვრივებული, მდიდარი წარმართის დიოსკორეს შვილი იყო. დიოსკორემ, იმის შიშით, რომ ხალხთან ურთიერთობისას ბარბარეს დაბალი წარმომავლობის ადამიანები არ გაეცნო, მას მაღალკოშკიანი ბრწყინვალე სასახლე აუგო და უბრძანა, იქიდან არსად არ გასულიყო.

ცხადია, მარტოობაში ყმაწვილი ბარბარე ნუგეშს თავისი კოშკის სარკმელთან ჯდომასა და შემოგარენის სილამაზით ტკბობაში პოულობდა, ხოლო, როცა მინდდებოდა და ჩაბნელებულ ცაზე ურიცხვი ლამპარი ინთებოდა ბარბარეს ქალწულებრივ სულს აღფრთოვანება მოიცავდა და იმის გაგება სწყურდა, თუ ვინ შექმნა ეს საკვირველი მშვენიერება... მას წარმართი აღმზრდელების პასუხები არ აკმაყოფილებდა და დიდი ხნის განსჯის შემდეგ, ქრისტე იწამა და თავისი მამისაგან ფარულად მოინათლა...

ცდილობდნენ, ბარბარეს დაეგმო თავისი არჩევანი და კერპთაყვანისმცემლად დარჩენილიყო, მათთვის მსხვერპლი შეეწირა, მაგრამ ქალწული უარზე იყო. იგი სასტიკი წამების შემდეგ სიკვდილით დასაჯეს. მას თავი საკუთარმა მამამ მოკვეთა. წმინდა დიდმოწამე ბარბარე განსაკუთრებული მფარველი და მკურნალია ბავშვებისა.

გიული ლიპარტია

ამას მარტო ქართველი თუ მოახერხებდა...

ლოს-ანჯელესის აეროპორტში, ავიაკომპანიას Scandinavian Airlines-ის რეისით კოპენჰაგენიდან ჩაფრინდა 50 წლამდე კაცი, რომელსაც არ ჰქონდა არც პასპორტი, არც ბილეთი, არც ვიზა.

კაცს რუსეთისა და ისრაელის მოქალაქეობა აქვს, მისი სახელი და გვარი კი სერგეი ოჩიგავაა. ინციდენტი ჯერ კიდევ 4 ნოემბერს მოხდა, თუმცა ინფორმაცია მის შესახებ მხოლოდ ახლა გავრცელდა.

როგორც FBI-ს ანგარიშშია აღნიშნული, ოჩიგავამ თქვა, რომ ეკონომისტია, მაგრამ ვერ გაიხსენა როგორ მოხვდა თვითმფრინავში. მისი გვარი არც სხვა საერთაშორისო რეისების მგზავრთა სიაში აღმოაჩინეს, რის შემდეგად კაცი დააკავეს.

დაკითხვაზე ოჩიგავამ განაცხადა, რომ 3 დღეა არ უძინია და ვერ ხვდება სად არის. მან ვერც ის ახსნა თუ რატომ ჩაფრინდა კოპენჰაგენში. მისივე თქმით, საგუთები და ბილეთი მას თვითმფრინავში დაავიწყდა. მოგვიანებით სამართალდამცველებმა ბარგში აღმოაჩინეს რუსეთისა და ისრაელის პირადობის მოწმობები და პასპორტის ფოტოს ნაწილი.

Scandinavian Airlines-ის თანამშრომლები კი ამბობენ, რომ 12-საათიანი ფრენის დროს ოჩიგავა ხშირად იცვლიდა ადგილს, ესაუბრებოდა სხვა მგზავრებს, კვების დროს კი ორჯერ მოითხოვა დამატებითი პორცია. მათივე თქმით, კაცმა ეკიპაჟის წევრების შოკოლადის შეჭმაც სცადა. ავიაკომპანიის პრესსამსახურში განმარტავენ, რომ ახლა აშშ-სა და დანიის ხელისუფლებები ინციდენტის დეტალების დადგენას ცდილობენ. ოჩიგავა კი სასამართლოს წინაშე 26 დეკემბერს წარდგება.

კინჩხას ტერიტორიას უმოწყალოდ ჩეხენ

ეროვნული სატყეო სააგენტოს იმერეთის სატყეო სამსახურის თანამშრომლებმა ხონის მუნიციპალიტეტში, სოფელ კინჩხას მიმდებარე ტერიტორიაზე ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების ფაქტი გამოავლინეს. სამართალდამრღვევებმა სახელმწიფო ტყეში 5 კუბური მეტრი წიფლის სახეობის ხე-ტყე უკანონოდ მოიპოვეს.

სატვირთო ავტომობილი დალუქულია და გადაყვანილია ხონის საქმიან ეზოში. ბრაკონიერების მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით, შესაბამის ორგანოში გადაიგზავნება.



დიდი ოდენობით არადეკლარირებული თანხის შემოტანა აღკვეთილია!

გოლო 2 თვის მონაცემებით, საბაჟო გამშვებ პუნქტებში „თბილისის აეროპორტი“, „ქუთაისის აეროპორტი“ და „სადახლო-საავტომობილო“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, უცხო ქვეყნის მოქალაქეების, როგორც ფიზიკური და კუთვნილი ბარგის დეტალური დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული თანხა ჯამში: 163 900 აშშ დოლარი, 1 250 ევრო და 5 501 500 რუსული რუბლი გამოავლინეს. არადეკლარირებული თანხის საერთო რაოდენობამ, ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის მიხედვით 613 669,6 ლარი შეადგინა.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევი მოქალაქეები სანქციის სახით, ჯამში 61 447, 894 ლარით (თანხის 10%- ის ოდენობა) დაჯარიმდნენ.

ხანძარმა თბილისში ერთი ადამიანი იმსხვერპლა!

თბილისში, ქავთარაძის ქუჩაზე ხანძარი იყო. ცეცხლი საცხოვრებელ კორპუსში, ერთ-ერთ ბინაში გაჩნდა.

შემთხვევის შედეგად, ერთი ადამიანი დაიღუპა. ხანძარი ამ დროისთვის ლიკვიდირებულია.

„საახალწლო სოფლის“ ლამაზი ტრადიცია გრძელდება

დედაქალაქის მერი კახა კალაძე „საახალწლო სოფელში“ კონსტრუქციებისა და ინსტალაციების მონტაჟის პროცესს მერის მოადგილე ანდრია გასილაიასთან ერთად გაეცნო.

თბილისის მერის თქმით, „საახალწლო სოფელი“ ორგელიანის მოედანსა და მიმდებარე ქუჩებზე, ასევე დედაენის ბაღში 16 დეკემბრიდან გაიხსნება და 7 იანვრის ჩათვლით უმასპინძლებს თბილისელებს და დედაქალაქის სტუმრებს.

როგორც მან აღნიშნა, „საახალწლო სოფელში“ მრავალფეროვანი სივრცეები და აქტივობებია მოწყობილი პატარებისთვის.

„წარმოდგენილია სხვადასხვა ატრაქციონი, გარდა ამისა, ყოველდღიურად გაიმართება კონცერტები. ღონისძიებებში, დაახლოებით, 500-ზე მეტი მეწარმე მონაწილეობს, რაც მცირე და საშუალო მიზნესის ხელშეწყობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია. მიხარია, რომ ტრადიცია ჩამოყალიბდა და, როგორც ეს ევროპულ, განვითარებულ ქვეყნებშია, „საახალწლო სოფელი“ თბილისშიც არსებობს, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე, სტუმრებს შეუძლიათ, მობრძანდნენ და ისიამოვნონ. წინ სასიამოვნო დღეები გელოდებათ“, – განაცხადა კახა კალაძემ.

„საახალწლო სოფლის“ ტერიტორიაზე, კერძოდ დედაენის ბაღში განთავსდება თოვლის ბაბუას სახლი, ელფების სახელოსნო და სამაგშვო ატრაქციონები. გარდა ამისა, ორგელიანის მოედანსა და მიმდებარე ქუჩებზე იფუნქციონირებს გასტრონომიული და სამეწარმეო მარკეტები, „ცხელი სასმელების ბარი“, „საშობაო ბაზარი“, „საახალწლო ქალაქის“ სახელოსნო და თეატრი, ფოტოზონები, ყინულის საციგურაო მოედანი; იქნება თეატრალიზებული მსვლელობები, საბავშვო ვორქშოფი და ა.შ. საახალწლო სოფელში დღის მეორე ნახევარი დაეთმობა სხვადასხვა ბენდებისა და შემსრულებლების მუსიკალურ საღამოებს.



„საქართველო - შეხვედრების ადგილი“ და სამეფო ოჯახი

გელგიის მეფე ფილიპემ და დედოფალმა მატილდა დ'უდეკემ დ'აკომ საერთაშორისო ფესტივალი „ევროპალია-საქართველო“ ოფიციალურად 4 ოქტომბერს გახსნეს. „ევროპალია-საქართველოს“ ფარგლებში გახსნილი უპრეცედენტო გამოფენის –„საქართველო – შეხვედრების ადგილი“ – ნახვა დამთვალიერებელს ბრიუსელის ხელოვნებისა და ისტორიის სამეფო მუზეუმში 2023 წლის 27 ოქტომბრიდან 2024 წლის 18 იანვრამდე შეუძლია.

გაიხსნა ნინო ფერაძის პერსონალური გამოფენა

ახალი წლის მოლოდინი, შობის მახარობლები, ზამთრის ქალაქები – ნაცნობი თემებითა და ხელწერით მხატვარი ნინო ფერაძე, დამთვალიერებელს ხელოვნების სასახლეში ელის. საშობაო გამოფენა მხატვრისთვის უკვე ტრადიციად იქცა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ბაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია გაბრიჭიძე
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 18 დეკემბერს

თანამედროვე ქართული ფოლკლორი

ბათარეკა გაბიდაური,

ხალხური მთქმელი.

ევროპის დროშა გაშალეს,
შეკრბა თბილისში ლაშქარი:
ნიფხავჩახდილი „გირჩები“,
და ნაცთა მთელი ამქარი;
სხვა უამრავი პარტია
ორი, ან სამკაციანი,
ვერც რამე არგეს ქვეყანას,
ვერც მიაყენეს ზიანი.
სხვადასხვა სახელები აქვთ,
თუმცა სუყველა ნაცია,
ვუცქერ და ვერ გამიგია
ვინ ქალი, ან ვინ კაცია.
„ნაცი“ დღევანდელ ქართულში,
„ტრაკია“ იცის ყველამა,
დღეს ყველა გლახა აქ არის,
ვინც კი დაწყევლა დედამა.
ამსიგრძე დროშას ქუჩაში
მოასვენებენ ყ-სავით
უტარო დროშა ნაცებო
ვინ გაიგონა ნეტავი?
დროშის ტარს მე გამოგითლით
და გამოვჯაგავ ქურაში,
დროშას თუ ვერ გაუკეთეთ
თქვენ გაიყარეთ დუმაში.
გეყოფათ, აწი, ნაცებო,
ცხოვრება ამ გასაჭირში,
გეები ყველა ქვეყნისა,
შეერთდით ევროკავშირში!
იქნება ჩვენაც გვეშველოს,
ღმერთი იმედს არ მოშლისა,
როცა თქვენ ევროკავშირში
შეხვალთ მაგ გრძელი დროშითა.